



ჰოლიტიკის ნაწარმოების კრებული

მაისი 2021



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

**ՀՊԵՆԵՐՈՎՈՐ
ՆԵՄԻՏՈՒԹՅԱՆ
ԿՐԹՅՈՒՆ**

ՁԵՆՈՒՄ 2021



**National Endowment
for Democracy**
Supporting freedom around the world



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასაწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაცია ასევე ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში სახალხო ჩართულობას. 2013 წლის დეკემბრიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი.

პუბლიკაცია მომზადდა „ნაციონალური ფონდის დემოკრატიისთვის“ ფინანსური მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა“ და „ნაციონალური ფონდის დემოკრატიისთვის“ თვალსაზრისს.

რედაქტორი: კორნელი კაკაჩია
ავტორები: ლევან კახიშვილი
სალომე მინესაშვილი
ბიძინა ლებანიძე
შოთა კაკაბაძე

გამომცემლობა: გრიფონი
ISBN 978-9941-480-90-4

© Georgian Institute of Politics, 2021
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
www.gip.ge

ავტორების შესახებ

ლევან კახიშვილი არის ბამბერგის სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო სკოლის დოქტორანტი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით, DAAD-ის სადოქტორო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. იგი ასევე ბამბერგის უნივერსიტეტის შედარებითი პოლიტიკის კათედრის ლექტორი და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსია. ლევან კახიშვილს აქვს მაგისტრის ორი დიპლომი რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების მიმართულებით ოქსფორდის უნივერსიტეტში და სამხრეთ კავკასიის ტრანსფორმაციის მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლევან კახიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, კავკასიურ სახელში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტსა და უმცირესობის საკითხთა ევროპულ ცენტრში. იგი ასევე ასწავლიდა სხვადასხვა სალექციო კურსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. ლევან კახიშვილის კვლევები გამოქვეყნებულია რეცენზირებულ აკადემიურ ჟურნალებში, *Post-Soviet Affairs* და *Europe-Asia Studies*.

სალომე მინესაშვილი საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტთან 2013 წლის სექტემბრიდან თანამშრომლობს. სალომე ფლობს ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს პოლიტიკის მეცნიერებაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ედინბურგის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხებს. ამჟამად ის ლექციებს კითხულობს პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ESCP Europe-ში. GIP-ში სალომე ჩართული იყო რამდენიმე კვლევით პროექტში, რომელთა კვლევის საგანია საგარეო პოლიტიკის ანალიზი, იდენტობის პოლიტიკა, რბილი ძალის პოლიტიკა, ევროკავშირი-აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ურთიერთობები და ტრანსფორმაციული პროცესები ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ბიძინა ლებამიძე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის უფროსი ანალიტიკოსი და პოსტსადოქტორო მკვლევარი ფრიდრიხ შილერის სახელობის იენას უნივერსიტეტში არსებულ სლავური და კავკასიური კვლევების ინსტიტუტში. ასევე, იგი გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. მას აქვს დოქტორის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებაში ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტისგან და მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან. წარსულში, იგი ასწავლიდა და სხვადასხვა კვლევით საქმიანობას ეწეოდა ბრემენის უნივერსიტეტში, ფრაიბურგის უნივერსიტეტში, ბერლინის ეკონომიკისა და სამართლის სკოლაში, ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტსა და კონრად ადენაუერის ფონდში.

შოთა კაკაბაძე საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის უმცროსი ანალიტიკოსია. იგი არის ტარტუს უნივერსიტეტის (ესტონეთი) ფილოსოფიის დოქტორი პოლიტიკის მეცნიერებებში. მას ამავე უნივერსიტეტში მიღებული აქვს ევროკავშირი-რუსეთის კვლევების მაგისტრის ხარისხი. სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში, შოთა ასევე იყო შვედეთის

ინსტიტუტის მიწვეული მკვლევარი რუსეთისა და ევრაზიის კვლევების ინსტიტუტში (უფსალას უნივერსიტეტი) და საერთაშორისო ურთიერთობების უმცროსი მკვლევარი იოჰან შუტეს სახელობის პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტში (ტარტუს უნივერსიტეტი). მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ეროვნული იდენტობის დისკურსებს, საგარეო პოლიტიკას, აღმოსავლეთ პარტნიორობას. შოთას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე აკადემიური ნაშრომი და წიგნის თავი (book chapter) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული იდენტობის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

წინასიტყვაობა

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი მოხარულია, წარმოგიდგინოთ 2021 წლის პოლიტიკის დოკუმენტების კრებული, რომელიც ეხმიანება საქართველოს აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებს, გამოწვევებს და პერსპექტივებს. კრებული მე-6 ყოველწლიური კონფერენციის – #GEODEM2021-ის ერთგვარი შესავალია, რომლითაც უნდა დაინახოს დისკუსია ჩვენი მთავარი ღონისძიების ფარგლებში და, იმედი გვაქვს, რომ ის კარგი საფუძველი გახდება საინტერესო განხილვებისთვის. წინამდებარე პოლიტიკის ნარკვევები და დოკუმენტები წარმოადგენს რესურსს როგორც პოლიტიკური, ისე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, დარგის ექსპერტებისთვის, აკადემიური წრეებისთვის, რიგითი მოქალაქეებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, რომლებიც ჩართული არიან საქართველოს დემოკრატიული განვითარების პროცესში.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, არაერთი თვალსაზრისით, გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოში შიდაპოლიტიკური პროცესების დინამიკისთვის და, სავარაუდოდ, გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვანი ეფექტები ექნება როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, ისე, მისი ევროპული მომავლისთვის. არჩევნების შემდეგ ძირითადი ოპოზიციური პარტიების მხრიდან ცესკოს მიერ გამოცხადებული შედეგების გაპროტესტებას და საპარლამენტო ბოიკოტის გამოცხადებას მოჰყვა თითქმის ექვსთვიანი პოლიტიკური კრიზისი. კრიზისის გარკვეულ ეტაპზე განმუხტვა მხოლოდ ევროკავშირის და აშშ-ს

აქტიური ჩარევის შედეგად იქნა მიღწეული. დასავლელი მეგობრების, როგორც საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორების მედიაცია საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში მკაფიო დასტურია იმისა, რომ საქართველოს დემოკრატიზაციის მომავალი ბრიუსელის და ვაშინგტონის პრიორიტეტებს შორის კვლავ აქტუალურია.¹ ამასთან, ევროპული პარლამენტის პრეზიდენტის – შარლ მიშელის და მისი სპეციალური წარმომადგენლის – ქრისტიან დანიელსონის პერსონალურმა ჩართვამ პარტიათაშორის დიალოგში იმედი გააჩინა რომ ქართულ პოლიტიკურ დისკუსიაში თანდათანობით ევროპული პრინციპები და კომპრომისული მიდგომები დაინერგება, რისი კარგი მაგალითი პარტიებს შორის შეთანხმების დოკუმენტმაც მოგვცა.

თუმცა, ამ პროცესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს კვლავ არ აქვს დემოკრატიული პროცესების შეუფერხებლად წარმართვის გარანტია: პოლიტიკური ელიტები არ აღმოჩნდნენ მზად შედეგზე ორიენტირებული დიალოგის დამოუკიდებლად გამართვისთვის, რაც, პირველ რიგში, მათ პოლიტიკურ მოუწინაველობაზე მეტყველებს. ამავდროულად, მიმდინარე კრიზისმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა საქართველოს ევროპულ და დემოკრატიული განვითარების პერსპექტივას: ევროპულ პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა საქართველოსთვის ფინანსური დახმარების მნიშვნელოვნად შეზღუდვის ან შეწყვეტის მონოდებებიც და ეს საფრთხე ბოლომდე ნიველირებული არაა.² დასაბამია რომ ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, რომ

¹ Panchulidze, E. & Youngs, Richard. *Defusing Georgia's Political Crisis: An EU Foreign Policy Success?* Available at: <https://carnegieeurope.eu/2021/05/10/defusing-georgia-s-political-crisis-eu-foreign-policy-success-pub-84494?fbclid=IwAR3n4VMFgDTsR2Nn1wIR04IeUg8Lmch0iNPjslYdWCdAAsjZDfvOjTJ3fl>

² The First 100 Days of Georgian Dream Government: Reality and Challenges. Available at: <http://gip.ge/the-first-100-days-of-georgian-dream-government-reality-and-challenges/>

მმართველ პარტიას დაგეგმილი აქვს 2024 წლისთვის ევროკავშირში განწევრების ოფიციალური განაცხადის მომზადება, თუმცა, ჯერჯერობით, ქვეყანა ვერ აჩვენებს პოლიტიკური კულტურის ხარისხს, რომელიც შესაბამისობაში იქნება დემოკრატიულ სტანდარტებთან. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ქართული პოლიტიკური პარტიები დისტანცირდნენ ნულოვანი ჯამური თამაშის მენტალიტეტისგან ევროპული კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკისკენ მიმართონ ყურადღება.³

მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა კვლევების მიხედვით, პარტიების მხრიდან საპარლამენტო ბოიკოტს მოსახლეობის მხრიდან დიდი მხარდაჭერა არ აქვს: საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მონაცემებით, ამ პროცესს მოსახლეობის 26% უჭერს მხარს.⁴ ამასთან, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის 82%-ისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა პოლიტიკურმა პარტიამ ერთმანეთთან ითანამშრომლონ.⁵ აღნიშნული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკური პარტიების ამბიციები და დღის წესრიგი პოლიტიკური კრიზისის გარკვეულ ეტაპებზე ამომრჩევლის მოთხოვნილებასთან მნიშვნელოვან აცდენაშია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიების მხრიდან, ბოლო ხანებში, სულ უფრო ხშირად ხდება საზოგადოებრივი აზ-

რის გამოკითხვების მეთოდოლოგიაში ეჭვის შეტანა,⁶ წარმოდგენილი მონაცემები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკური ელიტები საზოგადოების საჭიროებებს მნიშვნელოვნად არიან დაშორებული.

საქართველო, სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსების და ანგარიშების მიხედვით, გასული წლის მსგავსად, კვლავ დემოკრატიულ უკუსვლას აფიქსირებს.⁷ ამასთან, დემოკრატიული პროცესების წინაშე მდგარ საფრთხეებზე მიუთითებენ საერთაშორისო პარტნიორებიც. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლების მიხედვით, ძირითადად გამჭვირვალედ და სამართლიანად მიიჩნევა, ანგარიშებში აქტიურად ესმება ხაზი ტრადიციულ ხარვეზებს, როგორცაა ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებით გამოყენება, ამომრჩევლის მოყიდვა და დაშინება, პოლარიზებული მედია გარემო და სიძულვილის ენა წინასაარჩევნო დისკუსიაში.⁸ ამგვარი გამონკვევების სიმრავლე, ხშირ შემთხვევაში, არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს და კიდევ უფრო აქტუალური ხდება კითხვა – რატომ ვერ ხერხდება საქართველოს სახელმწიფოში სამართლიანი, დასავლურ სტანდარტებთან მიახლოებული არჩევნების ჩატარება.

დემოკრატიზაციის პროცესში ამ ერთგ-

³ Kakachia, Kornely & Lebanidze, Bidzina. 2021. *Op-Ed | Time to Push for Consensus-based Politics in Georgia*. Available at: <https://civil.ge/archives/402624>

⁴ Netgazeti.ge. 2021a. *ოპოზიციის ბოიკოტს 60% არ ეთანხმება – IRI-ის კვლევა*. Available at: <https://netgazeti.ge/news/532290/?fbclid=IwAR211xjCqnw42kate4MgNEAd9mjCrQ5RnkicY1zwGvPm8xfEFYfotKe8tLs>

⁵ Caucasusbarometer.org. December 2020. *Do you agree or disagree – it is important for all political parties to collaborate with each other?* Caucasus Research Resource Centre. Available at: <https://caucasusbarometer.org/en/nd2020ge/IMPAPCEO/>

⁶ Polling Wars in Georgia: Can it undermine public trust? Georgian Institute of Politics. Available at: <http://gip.ge/polling-wars-in-georgia-can-it-undermine-public-trust/>

⁷ Freedomhouse.org. 2021. Georgia. Available at: <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2021>

⁸ Transparency.ge. 2020. *2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს ერთობლივი შეფასება*. Available at: <https://transparency.ge/ge/post/2020-clis-saparlameto-archevnebis-cinasaarchevno-garemos-ertoblivi-shepaseba>

ვარი ჩიხიდან თავის დაღწევის მნიშვნელოვანი გზა არის შარლ მიშელის შეთანხმების პირობების სრულფასოვნად და პატიოსნად შესრულება პოლიტიკური პარტიების მიერ. განსაკუთრებით, ეს ეხება რეფორმებთან დაკავშირებულ მიმართულებებს – ძირეულ და რეალურ საარჩევნო და სასამართლო რეფორმებს. ერთი მხრივ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეორგანიზაცია მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნების წინ, ხოლო, მეორე მხრივ, საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების სრულ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა უნდა გახდეს საქართველოს პარტიული სისტემის მრავალფეროვნების და პარტიებს შორის ძალთა სამართლიანი გადანაწილების საფუძველი. გარდა ამისა, საარჩევნო პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმართვამ, შესაძლოა, შესამჩნევად შეუწყოს ხელი ნდობის გაზრდას საარჩევნო სტრუქტურებისადმი. შესაბამისმა სტრუქტურებმა აქტიურად უნდა იფიქრონ ხმის მიცემის ტექნიკურად განვითარებულ და გამჭვირვალე სისტემებზე, განსაკუთრებით ელექტრონულ მექანიზმებზე, რასაც შეუძლია, მნიშვნელოვნად წინ წაწიოს საქართველოში სამართლიანი და ლეგიტიმური არჩევნების სტანდარტები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო სისტემის მოდერნიზაცია და პოლიტიკური მართლმსაჯულების ფაქტორის შემცირება მაქსიმალურად ეფექტიანად მოხდეს ქვეყანაში, რადგან სამართლიანი და გამჭვირვალე სასამართლო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის უპირობოდ ფუნდამენტური კომპონენტია.⁹

გარდა ამისა, არსებობს დამატებითი საკითხები, რომლებიც, პერიოდულად აქტუალო-

ბას იძენს პოლიტიკურ დღის წესრიგში: მეინსტრიმული პარტიების მეტოქეობის და ინტერ- და ინტრა-პარტიული დისკუსიების ფონზე, საყურადღებოა ახალი მემარჯვენე პოპულისტური აქტორების ჩართვა პარტიულ პოლიტიკაში. ნაციონალისტური პოპულიზმის სხვადასხვა ნარატივები უფრო და უფრო მძლავრად შემოდის ქართულ სამოქალაქო თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, შესაბამისად, აუცილებელია, რომ ქართულმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა კლასმა ამ გამოწვევასთან გამკლავებაზეც იფიქრონ. პოლიტიკის დოკუმენტების წარმოდგენილი კრებული ისევე, როგორც მისი წინამორბედები, ვერ იარსებებდა ცნობილი ინსტიტუტების, მათ შორის, „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისათვის“ მხარდაჭერის გარეშე. ასევე, გვინდა მადლობა გადავუხადოთ რიგით მოქალაქეებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და მედია-საშუალებებს, რომლებიც აგრძელებენ ჩვენი საქმიანობის მხარდაჭერას, რითაც ხელს უწყობენ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში სამოქალაქო ჩართულობას და საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარების გზით დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული ხერხემლის გაძლიერებას.

კორნელი კაკაჩია

**საქართველოს პოლიტიკის
ინსტიტუტის დირექტორი**

⁹ Erkvania, Tinatin & Lebanidze, Bidzina. 2021. *The Judiciary Reform in Georgia and its Significance for the Idea of European Integration*. Georgian Institute of Politics. Available at: <http://gip.ge/the-judiciary-reform-in-georgia-and-its-significance-for-the-idea-of-european-integration/>

ევროკავშირის ახალი როლი
საქართველოში: წარმატებული
მედიაცია და მომავლის სტრატეგია

ლევან კახიუვილი

მოკლე შინაარსი

დემოკრატიის კონსოლიდაცია ხანგრძლივი და არასტაბილური პროცესია, რომელშიც პოლიტიკური კრიზისი შეიძლება განმეორებითი მოვლენა იყოს. საქართველოსთვის, რომელიც მიზნად ისახავს 2024 წლისთვის ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის გაკეთებას, უმართავი კრიზისები პოლიტიკურად ძვირი ჯდება. მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი, რომელიც 2019 წლის ივნისში დაიწყო, ჩიხში შევიდა 2021 წლის თებერვალში, როდესაც უმსხვილესი ოპოზიციური პარტიის ლიდერი ნიკა მელია დააპატიმრეს. ამის შემდეგ ევროკავშირმა მედიატორის როლი იკისრა და მოლაპარაკებები გამართა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის. ამან სიტუაცია განმუხტა და ოპოზიციის ნაწილი დათანხმდა პარლამენტში შესვლას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური კრიზისის დასასრული ჯერ კიდევ შორსაა, ევროკავშირმა ჩიხიდან გამოსავალი იპოვა. მოცემულ პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია

ევროკავშირის წარმატებული მედიაცია. ნაშრომი თავდაპირველად ახდენს საქართველოში არსებული კრიზისის კონტექსტუალისზაციას, რათა წარმოადგინოს გარკვეული ხედვები იმის შესახებ, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი კრიზისის მოგვარება ევროკავშირისთვის და შემდეგ იკვლევს მედიაციის ეფექტურობის განმაპირობებელ ფაქტორებს. ნაშრომში აღნიშნულია, რომ სამი ფაქტორი იყო გადამწყვეტი: ბერკეტის გამოყენების მაღალი შესაძლებლობა, მედიაციის შერჩეული სტრატეგია და მედიატორის თანმიმდევრულობის მაღალი ხარისხი. კვლევის მიგნებების საფუძველზე, ნაშრომი ადგილობრივ მოქმედ პირებსა და ევროკავშირს სთავაზობს რეკომენდაციების პაკეტს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ევროკავშირის მედიაცია, დემოკრატიზაცია, პოლიტიკური კრიზისი, პარლამენტის ბოიკოტი, პირობითობა.

შესავალი

საქართველოში პოლიტიკური კრიზისები უჩვეულო არ არის, მაგრამ ამ კრიზისების შესწავლა და ანალიზი საქართველოს წარმატების საწინდარია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თბილისი 2024 წლისთვის ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანას გეგმავს. ამიტომ ამ პოლიტიკურ დოკუმენტში განხილულია ბოლო პოლიტიკური კრიზისი საქართველოში, რომელშიც ევროკავშირმა ახალი როლი ითამაშა მედიატორის სახით. ევროკავშირმა მოახერხა ქართული პოლიტიკური ელიტის ჩიხიდან გამოყვანა. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირი ჩვეულებრივ ერიდება საშინაო პოლიტიკურ საქმეებში ჩარევას და არასოდეს ჩარეულა საქართველოში არსებულ შიდაპოლიტიკურ კრიზისში, ამ ნაშრომის

მიზანია, უპასუხოს რამდენიმე შეკითხვას: რატომ იკისრა ევროკავშირმა ახალი როლი და ჩაერთო საქართველოს შიდა პოლიტიკურ კრიზისში? როგორ მოახერხა ევროკავშირმა წარმატების მიღწევა? რა უნდა იყოს საქართველოსათვის გაკვეთილი და სამომავლო გეგმა?

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ინტერესი საქართველოში არსებული კრიზისის მიმართ უპრეცედენტოა, ქვეყანა მიჩვეულია გარე ჩარევას მსგავს კონტექსტში. 1990 და 2000-იანი წლების დასაწყისში ამგვარი საგარეო მოქმედი პირი იყო რუსეთი; რუსეთის ბოლო მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ კრიზისში მოხდა 2003 და 2004 წლებში ვარდების რევოლუციისა და ასლან

აბაშიძის განდევნისას. მას შემდეგ რუსეთი საქართველოში შიდაპოლიტიკური კრიზისების წყარო გახდა (იხ. Kakachia et al 2017). ამჟამინდელი კრიზისი, რომლის საწყისები 2019 წლის ივნისამდე მიდის, ამის აშკარა დადასტურებაა (Kakhishvili 2019).

საქართველოში ევროკავშირის ახალი როლის შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია ბერგმანისა და ნიმანის (Bergmann and Niemann 2015) ანალიტიკური ჩარჩო, რომელიც შემუშავებულია, რათა შეაფასოს ევროკავშირის, როგორც მედიატორის, ეფექტურობა სხვადასხვა კონფლიქტებში. ამასთან ნაშრომი განსაზღვრავს, თუ რა მიზნების მიღწევას ცდილობდა ევროკავშირი მედიაციის პროცესში. აღნიშნული მიზნები განისაზღვრა „სივილ ჯორჯიას“ მიერ მიმდინარე წლის 24 თებერვალსა და 24 აპრილს შორის გამოქვეყნებული 59 სტატიის კონტენტ-ანალიზის საფუძველზე. ანალიზი ფოკუსირებული იყო ევროპარლამენტარებისა და ევროკავშირის სხვა ოფიციალური პირების გამოსვლებიდან, განცხადებებიდან და წერილებიდან აღებულ პირდაპირ ციტატებზე. ამ ანალიზის შედე-

გად ასევე განისაზღვრა, თუ რა ბერკეტები გამოიყენა ევროკავშირმა კომპრომისის მისაღწევად ქართული პოლიტიკური ელიტის ნახალისებისა და/ან იძულების მიზნით; შუამავლობის რა სტრატეგია შეარჩია ევროკავშირმა; და რამდენად თანმიმდევრული და ერთიანი იყო ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტები და წევრი სახელმწიფოები.

ნაშრომის მომდევნო ნაწილი მოკლედ აღწერს მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ანატომიასა და მის კავშირს 2019 წლის ივნისის მოვლენებთან. შემდეგ ნაშრომში მოცემულია ქართული კრიზისის კონტექსტუალიზაცია იმის გათვალისწინებით, თუ რა ხდებოდა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში და რატომ იყო საჭირო ევროკავშირის ჩართვა. მომდევნო ნაწილი ეხება ევროკავშირის წარმატების განმაპირობებელ ფაქტორებს, რასაც მოჰყვება საქართველოს წინსვლის გზის განხილვა. დასკვნით ნაწილში მოცემულია რეკომენდაციების პაკეტი ქართული პოლიტიკური პარტიების, პრეზიდენტის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ევროკავშირისთვის.

წინაპირობა: კრიზისის ანატომია


კრიზისის ეფექტური მართვა ძალზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, ევროკავშირის ასპირანტ ქვეყნებში. თუმცა საქართველომ ვერ შეძლო მიმდინარე კრიზისის პირველ ეტაპზე უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება (იხ. Kakhishvili and Puslys 2019). პოლიტიკური კრიზისის პირველი ეტაპი დაიწყო 2019 წლის 20 ივნისს, როდესაც რუსეთის კომუნისტური პარტიის დეპუტატმა, სერგეი გავრილოვმა, მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის დელეგატებს საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძლიდან რუსულ ენაზე მიმართა (იხ. სურათი 1). საქართველოს სუ-

ვერენიტეტის ამ სიმბოლურმა დარღვევამ თბილისში საპროტესტო აქციები გამოიწვია, რის შედეგადაც პოლიციასა და მომიტინგეებს შორის შეტაკება მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქციები საგარეოპოლიტიკურმა საკითხმა გამოიწვია, დემონსტრანტების მოთხოვნებმა სწრაფად გადაინაცვლა საშინაო პრობლემებზე (Kakhishvili and Puslys 2019). სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწის გადადგომის გარდა, ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა საარჩევნო რეფორმა იყო – 2020 წლის არჩევნებისთვის პროპორციულ სისტემაზე სრულად გადასვლა.

შესაბამისად, საარჩევნო სისტემის რეფორმირების მოთხოვნები გახდა შემდგომი პოლიტიკური კრიზისის ორი მდგენელიდან ერთ-ერთი. კრიზისის მეორე მდგენელი სასამართლო სისტემის პოლიტიზება იყო. ეს დაკავშირებული იყო ისეთ ფიგურებთან, როგორცაა ნიკა რურუა, გიგი უგულავა და ნიკა მელია. ამ უკანასკნელს ორჯერ ჩამოარ-

თვეს დეპუტატის იმუნიტეტი – 2019 წლის ივნისსა და 2021 წლის თებერვალში. მელიას დაპატიმრება პოლიტიკური კრიზისის პიკი იყო. ეს იყო ნერტილი, როდესაც მტკივნეულად ცხადი გახდა, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს აღარ შეეძლოთ შინაარსიანი დიალოგის წარმოება კომპრომისზე დამყარებული კონსენსუსის მისაღწევად.

სურათი 1. კრიზისის ქრონოლოგია: გავრილოვის ლამიდან ნიკა მელიას დაპატიმრებამდე



წყარო: ავტორის ილუსტრაცია.

აღნიშნული კულმინაცია იყო მიზეზი იმისა, რომ მელიას დაპატიმრების დღეს ექვსმა ევროპარლამენტარმა წერილი გაუგზავნა ევროსაბჭოს პრეზიდენტს შარლ მიშელს და სთხოვა მას „ხელი შეუწყოს საქართველოს პოლიტიკურ ძალებს დაუყოვნებლივ განახლონ პარტიათაშორისი დიალოგი, რაც უნდა გახდეს კონკრეტული ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის საფუძველი, რომელიც ორიენტირებული იქნება თანამშრომლობითი და ინკლუზიური პოლიტიკური გარემოს განვითარებაზე“ (ჩივილ ჩეორგია 2021დ). წერილი ასევე მოიცავდა გაფრთხილებას ქართული პოლიტიკური

ელიტისათვის და ხაზს უსვამდა იმას, რომ „პოლიტიკური კრიზისი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმების გზიდან გადახვევის საფრთხეს ქმნის“ (ჩივილ ჩეორგია 2021დ). 28 თებერვალს შარლ მიშელი თბილისში ჩამოვიდა. ამ ვიზიტით დაინყო ევროკავშირის წარმომადგენლობისა და აშშ-ს საელჩოს მიერ განხორციელებული ფასილიტაციიდან მედიაციის ეტაპზე გადასვლა და ევროკავშირის მიერ ახალი როლის მორგება. მედიაციის პროცესი დასრულდა 19 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულებით.

კრიზისის კონტექსტუალიზაცია: რატომ ჩაერთო ევროკავშირი?

ევროკავშირის მონაწილეობა საქართველოს შიდაპოლიტიკურ კრიზისში მოულოდნელი იყო. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ნიკოლა სარკოზიმ, როგორც ევროსაბჭოს პრეზიდენტი, ფასილიტატორის როლი იკისრა, ხელი შეუწყო კომუნიკაციას თბილისსა და მოსკოვს შორის და ორ ქვეყანას შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერას. ამის შემდეგ ევროკავშირი გახდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარე და მედიატორი (წანაცვულიდზე 2020). გარდა ამისა, ევროკავშირს აქვს ვრცელი და წარმატებული გამოცდილება ბალკანეთში, როგორც მედიატორს, საერთაშორისო კონფლიქტებში, სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და საშინაო კრიზისებში (ბერგმანი და ნიემანი 2015). ბალკანეთის რეგიონი პირდაპირ ესაზღვრება ევროკავშირის წევრ ქვეყნებს: ბალკანეთის ზოგიერთი ქვეყანა უკვე ევროკავშირის წევრია, დანარჩენები კი წევრობისკენ მიმავალ გზაზე დგანან. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 21-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ევროპის საგარეო ქმედებათა დებულებებს, შემდეგ სამ მთავარ მიზანს ასახელებს: „ა) დაიცვას მისი [ევროკავშირის] ღირებულებები, ფუნდამენტური ინტერესები, უსაფრთხოება, დამოუკიდებლობა და მთლიანობა; ბ) განამტკიცოს და მხარი დაუჭიროს დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს; გ) შეინარჩუნოს მშვიდობა, მოახდინოს კონფლიქტების პრევენცია და გააძლიეროს საერთაშორისო უსაფრთხოება“ (European Union 2012). ევროკავშირმა არაერთხელ აჩვენა საკუთარი დაინტერესება საქართველოსა და, ზოგადად, აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონით, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ევროკავშირმა საკუთარ თავზე იკისრა მედიატორის როლი საქართველო-

ში. იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც ბოლო პერიოდში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში შეიქმნა, ევროკავშირის ჩართულობა კიდევ უფრო ლოგიკური ხდება. აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში სამი ძირითადი მოვლენის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი საქართველოს კრიზისის კონტექსტუალიზაციის მიზნით: არეულობა ბელორუსში; სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გამო ომის განახლება; ომის გამწვავება და შემდგომში რუსული ჯარების გაძლიერება უკრაინის აღმოსავლეთ საზღვრებთან.

ევროკავშირმა ვერ უზრუნველყო მშვიდობა და სტაბილურობა აღნიშნულ პროცესებში, რაც საფრთხეს უქმნის მის ინტერესებს. არჩევნებმა და შემდგომმა მასშტაბურმა პროტესტებმა ბელორუსში აჩვენა ალექსანდრე ლუკაშენკოს რეჟიმის მონყვლადობა და ევროკავშირის გავლენის შეზღუდული ხასიათი (იხ. Erlanger 2020). ლუკაშენკოს, რომელსაც რუსეთის მხრიდან საგარეო მხარდაჭერით სარგებლობს, არ სურს ძალაუფლებაზე უარის თქმა.

ე.წ. მეორე მთიანი ყარაბაღის ომი რეგიონში ევროკავშირის შეზღუდული გავლენის მორიგი დემონსტრირებაა. მხოლოდ რუსეთმა, თურქეთის მხარდაჭერით, მოახერხა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა (BBC 2020), რაც ნიშნავს „მნიშვნელოვან უკან დახევას ევროპის ამბიციისგან იყოს რეგიონული აქტორი“ (Judah 2020). მაშინ როდესაც ევროპა უმოქმედოდ იყო, რუსეთმა გაზარდა თავისი როლი სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანში დაახლოებით 2000-კაციანი სამშვიდობო მისიის განლაგების უფლებით (BBC 2020), რაც ნიშნავს, რომ მოსკოვს ახლა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში

გააჩნია სამხედრო წარმომადგენლობა.

მესამე საკითხი უკრაინას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს მიღწეულ იქნა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება კიევსა და პრორუსულ სეპარატისტებს შორის უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში (Reuters 2020), შეთანხმება მალე დაირღვა (BBC 2021a), რამაც ნატოს შემფოთება გამოიწვია (BBC 2021c). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ჯარებს დაავალა მუდმივი დისლოცირების ბაზებში დაბრუნება (BBC 2021b), ამ პროცესმაც აჩვენა, თუ რამდენად შეზღუდულია ევროკავშირის გავლენა, როდესაც საქმე ეხება იძულების ტრადიციულ საშუალებებს.

ამ ფონზე, ქართული პოლიტიკური პარტიების მხრიდან დათმობაზე წასვლის სურვილის არ ქონა, მარტივად გადასაჭრელ პრობლემად მოჩანს. ამ და, ალბათ, სხვა ფაქტორებმა, მაგალითად, პრეზიდენტ მიშელის პირადმა გამოცდილებამ როგორც ბელგიელმა პოლიტიკოსმა პოლიტიკურ დაპირისპირებებში კარგად გათვითცნობიერებული საზოგადოებიდან, ხელი შეუწყო ევროკავშირს იმოქმედოს იქ, სადაც ეს შესაძლებელია და გააძლიეროს თავისი როლი აღმოსავლეთ სამეზობლოში. ამიტომ, აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნება სხვაგვარად ტურბულენტურ რეგიონში ევროკავშირისთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ოდესმე.

მედიაციის პროცესის ანალიზი: როგორ შექმნა ევროკავშირმა წარმატების მიღწევა?

ევროკავშირის მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების გაფორმება საქართველოში ინსტიტუტების გაძლიერების მიზნით რეფორმების გატარების ხანგრძლივი პროცესის პირველი ნაბიჯია. ამასთან, მედიაციის ეფექტურობის შეფასება მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ როგორ მოახერხა ევროკავშირმა კონკრეტული შედეგების მიღწევა. ბერგმანი და ნიემანი (Bergmann and Niemann 2015) „მედიაციის ეფექტურობის“ განსაზღვრავს, როგორც დასახული მიზნების მიღწევას, ანუ მედიაციის პროცესის დაწყებამდე რამდენად მკაფიოდ აფიქსირებს მედიატორი მედიაციის პროცესის მიზნებს და რამდენად იქნა მიღწეული ეს მიზნები პროცესის ბოლოს (Bergmann and Niemann 2015). შესაბამისად, მნიშვნელოვანია შეფასდეს, თუ რა მიზნები დაისახა ევროკავშირმა მედიაციის პროცესის დაწყებამდე და რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა მათ მიღწევაზე.

ბერგმანისა და ნიემანის (Bergmann and Niemann 2015) მიხედვით, მედიაციის შედეგს განსაზღვრავს მედიატორისა და მედიაციისთვის დამახასიათებელი სამი ფაქტორი: მედიატორის ბერკეტი, მედიაციის სტრატეგია და მედიატორის თანმიმდევრულობა. რაც უფრო მაღალია მედიატორის ბერკეტი, მით უფრო ეფექტურია მედიაცია. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის საგარეო ურთიერთობები, უმთავრესად, პირობითობის პრინციპს ეყრდნობა, მას დადებითი და/ან უარყოფითი პირობითობის გამოყენების მაღალი შესაძლებლობა გააჩნია. სხვა საკითხია რამდენად სურს ევროკავშირს გამოიყენოს იძულების ზომები. რაც შეეხება მედიაციის სტრატეგიას, ბერგმანი და ნიემანი (Bergmann and Niemann 2015) განასხვავებენ სამ ტიპს: ფასილიტაცია, ფორმულირება და მანიპულირება. ამასთან, ეს უკანასკნელი მეტწილად ზედმეტია, რადგან იგი განისაზღვრება, როგორც ფორმულირების სტრატეგიისა და პოზი-

ტიური და/ან უარყოფითი პირობითობის გამოყენების ერთობლიობა. თავის მხრივ, ფორმულირება განისაზღვრება როგორც სტრატეგია, რომლის დროსაც მედიატორი არა მხოლოდ ამარტივებს კომუნიკაციას კონფლიქტის მხარეებს შორის – ფასილიტაციის სტრატეგია სტრატეგიას – არამედ კომპრომისის კონკრეტულ წინადადებასაც აყალიბებს. შესაბამისად, მიჩნეულია, რომ ფორმულირება უფრო ეფექტურია, ვიდრე ფასილიტაცია და ყველაზე ეფექტური, თუ

მას თან ახლავს კონკრეტული ბერკეტის გამოყენება.


თანმიმდევრულობა, თავის მხრივ, გულისხმობს მედიატორის შიდა ერთიანობას. ამ შემთხვევაში, რამდენად მსგავს სიგნალებს უგზავნიან ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტები და წევრი სახელმწიფოები კონფლიქტის მხარეებს. რაც უფრო მაღალია თანმიმდევრულობა, მით უფრო ეფექტურია ევროკავშირის მედიაცია.

ევროკავშირის მედიაციის მიზნები

მედიაციის პროცესის ეფექტურობა უნდა შეფასდეს წინასწარ დასახული მიზნების ფონზე (იხ. სურათი 2 მედიაციის პროცესის ქრონოლოგიის შესახებ). ამ მიზნებს ორი ასპექტი აქვს: ამბიციურობა და სიცხადე.

საქართველოში ევროკავშირმა დასახა ამბიციური მიზანი – პოლიტიკური კრიზისის მოგვარება და დაისახა მთელი რიგი როგორც მკაფიო, ისე ბუნდოვანი მიზნები.

დიაგრამა 2. ევროკავშირის მედიაციის ქრონოლოგია



წყარო: ავტორის ილუსტრაცია

პირველი ვიზიტისას შარლ მიშელმა დაისახა მკაფიო მიზანი: „ამ პოლიტიკური კრიზისის მოგვარება“ (Civil Georgia 2021a). „კრიზისის მოგვარება“ აქ გულისხმობს მხოლოდ იმ ჩიხიდან გამოსვლას, რომელიც ქართული პარტიების რადიკალიზების რიტორიკის შე-

დეგად დადგა.

ამავდროულად, ევროკავშირის სხვა, ნაკლებად ამბიციური მიზნები იყო: დიალოგის განახლება ქართულ ოცნებასა და ოპოზიციას შორის; პოლარიზაციის გამომწვევი

რიტორიკის შეჩერება; და მხარეებს შორის ურთიერთგაგების კონკრეტული მემორანდუმის გაფორმება. ეს მიზნები გაფლერდა მიშელის პირველი ვიზიტისას ან მის ვიზიტამდე. ამ ვიზიტის შედეგად დიპლომატიური და რადიკალიზაციის ქცევა შეჩერდა ოპოზიციური პარტიების მხრიდან. ამ უკანასკნელის დადასტურებაა ოპოზიციური პარტიების 3 მარტის განცხადება ქუჩის საპროტესტო მოქმედებების შეჩერების შესახებ, რათა არ მომხდარიყო „პრეზიდენტ მიშელის მედიაციის შედეგად განახლებული მოლაპარაკებების“ ჩაშლა (Civil Georgia 2021e). მედიაციის მონაწილეებმა კონკრეტულ მემორანდუმს ხელი 19 აპრილს მოაწერეს. ასევე იყო სხვა ამბიციური გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც ნათელს ხდის

იმას, თუ როგორ ხედავს ევროკავშირი საქართველოს პოლიტიკური ელიტის ძალისხმევას; მათი მიღწევა მედიაციის პროცესით ვერ მოხდება. ამის ნაცვლად, მედიაციის პროცესი ძირითადად მიზნად ისახავდა მხარეების გაერთიანებას რეფორმების დღის წესრიგის გარშემო. ამ მიზნებს თან ახლდა დამატებითი, ბუნდოვანი მიზნებიც. მკაფიო მიზნების დაყოფა სამ დიდ კატეგორიად შეიძლება: საარჩევნო რეფორმა; სასამართლო რეფორმა და ოპოზიციის როლი პარლამენტში. ბუნდოვანი მიზნები ასევე შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დაცვა; კონსტიტუციისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვა; და საერთო ენის გამონახვა კონსენსუსის მისაღწევად (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. ევროკავშირის მედიაციის მიზნები

მკაფიო მიზნები	ბუნდოვანი მიზნები
<p>არჩევნები</p> <ul style="list-style-type: none"> • საარჩევნო სისტემის რეფორმა • შესაძლო ვადამდელი არჩევნები 	საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვა
<p>სასამართლო სისტემა</p> <ul style="list-style-type: none"> • სასამართლო სისტემის რეფორმა • უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა • პოლიტიზებული სამართლის ორი შემთხვევა 	კონსტიტუციისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვა
<p>პარლამენტი</p> <ul style="list-style-type: none"> • ძალაუფლების განაწილება და ოპოზიციის საზედამხედველო ფუნქციები • ბიოკოტის დასრულება 	საერთო ენის პოვნა კომპრომისზე დაფუძნებული კონსენსუსის მისაღწევად

წყარო: ავტორის ანალიზი

მიზნების სიცხადე არა მხოლოდ ევროკავშირის, როგორც მედიატორის, ეფექტურო-

ბის შეფასებისთვისაა სასარგებლო, არამედ შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ

რა საკითხებს მიიჩნევს ევროკავშირი მნიშვნელოვნად. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში ჩამოთვლილი ყველა „მკაფიო“ მიზანი დასახელდა პერიოდში ნიკა მელიას დაპატიმრებასა და შარლ მიშელის გადანიშნულებას შორის ქრისტიან დანიელსონის დესპანად დანიშვნის შესახებ. ეს მიზნები არასოდეს შეცვლილა და 9 მარტის შემდეგ ახალი მიზნები არ დამატებია. ეს ნიშნავს,

რომ ევროკავშირი ძალზე თანმიმდევრული იყო თავის მოქმედებებში და კრიზისში ჩართვის ადრეული ეტაპიდან მკაფიო ამოცანა ჰქონდა. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ეს საკითხი შეტანილ იქნა მხარეების (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამოკლებით) მიერ ხელმოწერილ საბოლოო დოკუმენტში, შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირი, როგორც მედიატორი, ეფექტური იყო.

ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები: პირკიტაბი, სტრატეგია და თანმიმდევრულობა

ნაშრომში გამოყენებული ანალიტიკური ჩარჩოდან გამომდინარე, ევროკავშირის მედიაცია ყველაზე ეფექტურია, თუ იგი დაპირისპირებულ მხარეებს სთავაზობს კონკრეტულ კომპრომისულ წინადადებას, იყენებს იძულებით ზომებს ან/და პოზიტიურ ნახალისებას და აჩვენებს თანმიმდევრულობასა და ერთიანობას მედიაციის პროცესში – მონაცემების თანახმად, სწორედ ამგვარად განვითარდა მედიაციის პროცესი ქართულ პოლიტიკურ კრიზისში. წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე ევროკავშირმა მოამზადა შეთანხმების კონკრეტული ტექსტი, რომელიც ხელახლა მომზადდა მას შემდეგ, რაც მხარეებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს. ამავდროულად, ამას თან ახლდა პოზიტიური ნახალისება და იძულებითი ზომები, ისევე როგორც თანმიმდევრულობის მაღალი დონე ევროკავშირის, როგორც მედიატორის, მხრიდან.

ევროკავშირის მიერ გავლენის ბერკეტების გამოყენება შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად. პირველი მოიცავს პერიოდს ქრისტიან დანიელსონის მიერ ჩატარებული მედიაციის მეორე რაუნდამდე, ხოლო მეორე ეტაპი იწყება მედიაციის მეორე რაუნდის ნარუმატებლობის შემდეგ. პირველ პერიოდში, ბერკეტების თვალსაზრისით დომინირებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გზავ-

ნილები, თუმცა შინაარსობრივად მათ ზოგადი ხასიათი ჰქონდათ. დადებითი სტიმულები ძირითადად ეხებოდა ევროკავშირის მხარდაჭერას საქართველოს „წარმატებული მომავლის,“ ისევე როგორც სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. პოზიტიური გზავნილების ზოგად ხასიათთან დაკავშირებით გამონაკლისი იყო 9 მარტის შემთხვევა, როდესაც საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჯოზეფ ბორელმა ევროკავშირის მიერ საქართველოს მიმართ გაწეული ფინანსური მხარდაჭერის შესახებ მიანიშნა: „ჩვენ ვეხმარებით საქართველოს, ჩვენ ვართ ყველაზე დიდი დონორი საქართველოში, ჩვენ მნიშვნელოვან დახმარებას ვუწვეთ საქართველოს კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ“ (Civil Georgia 2021c). მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ პროცესი დასრულდება პოლიტიკურ შეთანხმებით, რაც გულისხმობდა, რომ ფინანსური დახმარება მედიაციის შედეგებს ებმის.

იმავდროულად, უარყოფითი გზავნილები შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმით, რომ პოლიტიკური კრიზისი ქმნიდა „საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეფორმების გზიდან გადახვევის რისკს“ (Civil Georgia 2021e)

და „საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სტაბილურობასა და ევროატლანტიკური თანამშრომლობისკენ სწრაფვას“ (Civil Georgia 2021f). გამონაკლისს წარმოადგენდა ესტონელი ევროპარლამენტარი ევროპის სახალხო პარტიიდან, რომელმაც განაცხადა, რომ „ევროკავშირს უნდა ჰქონდეს ძლიერი ბერკეტი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ,“ რათა ხელი შეუშალოს ივანიშვილის „კულისებს მიღმა“ მმართველობას (Civil Georgia 2021c).

მას შემდეგ, რაც ქართულმა პარტიებმა ხელი არ მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც 31 მარტს გამოქვეყნდა, ევროკავშირის რიტორიკა გამკაცრდა და დაიწყო კონკრეტული ზომების განხილვა. 1 აპრილს სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის შვიდმა ევროპარლამენტარმა ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „სასწორზე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დევს“ და, რომ „პოლიტიკური პარტიების მიერ კომპრომისის უარყოფის შემდეგ, საქართველოს ლიდერებს არ უნდა ჰქონდეთ მოლოდინი, რომ ევროკავშირთან საქმე ძველებურად გაგრძელდება“ (ჩივილ ჩეორგია 2021ბ).

ამას გარდა, ევროპარლამენტარებმა განაცხადეს, რომ იქნებოდა კონკრეტული შე-

დეგები საქართველოსთვის „ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისით, მათ შორის, ევროკავშირის მაკროეკონომიკური დახმარებისა და ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებული შემდგომი თანხების შეჩერებისა და პირობითობის ზრდის თვალსაზრისით“ (Civil Georgia 2021b). ეს გახდა პირველი შემთხვევა, როდესაც ევროკავშირმა საქართველო გააფრთხილა ნეგატიური პირობითობის კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ. გაფრთხილება საქართველოს პოლიტიკური ლიდერების მოქმედების შედეგი იყო და, შესაბამისად, იძულებით ღონისძიებად იქნა გამოყენებული.

ყველა ეს პოზიტიური და ნეგატიური ზომა ევროკავშირმა ფორმულირების მედიაციის სტრატეგიასთან ერთად გამოიყენა, რაც მიანიშნებს მედიატორის ეფექტურობის მაღალ ხარისხზე. გარდა ამისა, ევროკავშირი მეტად თანმიმდევრული იყო, რასაც მედიაციის ძალისხმევაში მონაწილე აქტორების მრავალფეროვნება აჩვენებს (იხ. ცხრილი 2). ამ აქტორებს არასოდეს გამოუთქვამთ გზავნილები, რომლებიც შეეწინააღმდეგებოდა სხვა აქტორის მესიჯებს, რაც სასარგებლო იყო იმისთვის, რომ ევროკავშირის მოლოდინები ქართული პარტიებისთვის მკაფიო ყოფილიყო.

ცხრილი 2. ევროკავშირთან დაკავშირებული მოქმედი პირები და მათი როლები მედიაციის პროცესში

#	აქტორი	როლი
1	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში წარმოადგენს კარლ ჰარცელი, საქართველოში ევროკავშირის ელჩი	მოლაპარაკებების ფასილიტაცია მედიაციის პროცესის დაწყებამდე
2	ევროპული საბჭო წარმოადგენს შარლ მიშელი, პრეზიდენტი	წამოიწყო მედიაცია უმაღლეს წარმომადგენელ ბორელთან თანამშრომლობით, ელჩად დაინიშნა ქრისტიან დანიელსონი, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა
3	ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური წარმოადგენს ჯოზეფ ბორელი, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი	მხარი დაუჭირა შარლ მიშელის მედიაციის გეგმას და ქრისტიან დანიელსონის დანიშვნას 16 მარტს თავმჯდომარეობდა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს
4	ევროპარლამენტი წარმოადგენს ევროპარლამენტარები სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებიდან, მათ შორის ყველაზე აქტიურად EPP, S&D, ECR, მწვანეთა პარტია/EFA, განაახლე ევროპა და ა.შ.	გამართა დებატები საქართველოს შესახებ რამდენიმე ევროპარლამენტარმა შარლ მიშელს საჯარო წერილით მიმართა რამდენიმე ევროპარლამენტარმა ერთობლივი განცხადება გააკეთა
5	წვერი სახელმწიფოები წარმოადგენს გაბრიელიუს ლანდსბერგისი, ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი	დაგეგმა ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან შემდგარი მედიატორების ჯგუფის შექმნა

წყარო: ავტორის ანალიზი

ევროკავშირმა აჩვენა შიდა თანმიმდევრულობის მაღალი ხარისხი, მაგრამ იმავდროულად აშშ-ის ქმედებებიც ევროკავშირის მიერ გაგზავნილი სიგნალების ჩარჩოს ფარგლებში ექცეოდა. აშშ-ის საელჩომ ევროკავშირის წარმომადგენლობის მსგავსი როლი შეასრულა, ხოლო ამერიკელმა სენატორებმა განაცხადეს ნეგატიური პირობითობის გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არასათანადოდ შესრულდება. აშშ-ის სენატში 22 აპრილს დარეგისტრირებული ორპარტიული რეზოლუცია შემფოთებას გამოხატავდა,

რომ დემოკრატიზაციის შეფერხება „შეანელებს [საქართველოს] პროგრესს ევროატლანტიკური მისწრაფებების მიღწევისა (...) და, შესაძლოა, აშშ-ის დახმარებაზე პირობითობის პრინციპის გამოყენებით დასრულდეს“ (Civil Georgia 2021g). ამიტომ აშშ-ის ჩართვას პროცესში დამატებითი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ქართულმა ოცნებამ ცალმხრივად 16 აპრილს მოაწერა ხელი 31 მარტის შეთანხმებას ქართული ოცნების თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის, ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ.

სამოგავლო გზა საქართველოსთვის

საქართველოსთვის პრობლემაა, რომ პოლიტიკურ აქტორებს გარე მედიატორი დასჭირდათ დიალოგის წარმართვისა და კონსენსუსის მისაღწევად. ქართულ პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონოდათ საკმარისი რესურსი დიალოგისთვის ან უნდა სხვა აქტორს, მაგალითად, პრეზიდენტს, უნდა შეეძლოს მედიატორის როლის შესრულება. ის, რომ პოლიტიკოსების მიერ პოლიტიკის ნულოვან ჯამიან თამაშად აღქმა პრობლემაა, ანალიტიკოსებს არაერთხელ აღუნიშნავთ (Georgian Institute of Politics 2021). ხშირი იყო მოწოდებებიც, რომ კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკა განვითარებულიყო (Kakachia and Lebanidze 2021b). მიუხედავად ამისა, ამკარა გახდა, რომ ქვეყანაში კონსტრუქციული დიალოგისთვის არასაკმარისი რესურსი იყო. მართალია, ევროკავშირის მედიაციის მეშვეობით მოხერხდა კონსტრუქციული პოლიტიკური პროცესის აღდგენა, ეს არ ნიშნავს, რომ ცვლილებები სწრაფად წარიმართება ან, რომ ისინი გარდაუვალია. თუ ქართული ოცნების დეკლარირებული მიზანი – 2024 წლისათვის ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება – განხორციელებადია, საქართველოს სამინაო დავალების შესრულება

მოუწევს. საუკეთესო ინდიკატორი, თუ რას ელიან საქართველოსაგან ევროკავშირში, არის 18 აპრილის ხელშეკრულების პუნქტები. ამ საშინაო დავალების შესრულებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ყველა პოლიტიკური აქტორი.

18 აპრილის შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ის ფაქტი, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ მას არ მოაწერა ხელი, ისევე როგორც ევროპულმა საქართველომ და ლეიბორისტულმა პარტიებმა. ეს ორი უკანასკნელი უფრო მცირე პარტიაა, ხოლო ნაციონალური მოძრაობა ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიას წარმოადგენს; ამიტომ, ნაციონალური მოძრაობის ქმედებები უფრო მეტ გავლენას ახდენს მოვლენებზე. ამასთან, დოკუმენტს ხელი მოაწერეს მედიაციის პროცესის ცალკეულმა მონაწილეებმა, მაგალითად, სალომე სამადაშვილმა და დავით ბაქრაძემ. თუმცა ბაქრაძემ უკვე დატოვა ევროპული საქართველო, ხოლო სამადაშვილმა განაცხადა ნაციონალური მოძრაობის დატოვების გეგმის შესახებ.

ნაციონალური მოძრაობის უარი შეთანხმების ხელმოწერაზე კონფლიქტის კონტე-

ქსტის ნაწილია. პოლიტიკურ დაპირისპირებაში ერთ მხარეს ქართული ოცნებაა, ხოლო მეორე მხარე მოიცავს პოლიტიკურ პარტიებს, რომლებსაც გააჩნიათ ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერესები და მოლოდინები. როგორც წესი, უფრო მეტი ალბათობა არსებობს იმისა, რომ კონფლიქტის იმ მხარეს, რომელიც რამდენიმე აქტორს მოიცავს, აღმოჩნდება ერთი ან მეტი პირი, რომლებიც არ დაეთანხმებიან ფორმულირებულ შეთანხმებას. ამ ვითარებაშიც კი, არ არის აუცილებელი, რომ ნაციონალურ მოძრაობას სურდეს ან შეეძლოს კონსტრუქციული პოლიტიკური პროცესის მიღმა დარჩენა. სავარაუდოდ, ისინი პარლამენტში შევლენ. ამგვარი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია ორ ფაქტზე დაყრდნობით: მელიამ მიიღო ევროკავშირის მიერ გადახდილი გირაო და გათავისუფლდა, ხოლო სააკაშვილმა მოუწოდა ნაციონალურ მოძრაობას ხელი მოაწეროს 18 აპრილის შეთანხმებას მელიას გათავისუფლების შემდეგ (JAMnews 2021). შესაბამისად, რაც ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის არის 18 აპრილის შეთანხმების განხორციელება და კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება.

შეთანხმება, რომელსაც პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ხელს აწერს, ხუთი ნაწილისაგან შედგება: (1) პოლიტიკულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირება; (2) ამბიციური საარჩევნო რეფორმა; (3) კანონის უზენაესობა/სასამართლო რეფორმა; (4) პარლამენტში ძალაუფლების განაწილება; (5) მომავალი არჩევნები (European Union External Action Service 2021). ამ საკითხებიდან ყველაზე გრძელვადიანი და მნიშვნელოვანი საარჩევნო და სასამართლო რეფორმებია. ამ რეფორმებით უნდა შეიქმნას სტაბილური ინსტიტუტები და ხელი შეეწყოს სასამართლო სისტემისა და არჩევნების მიმართ საზოგადოებაში ნდობის გაზრდას. ამასთან,

ხელშეკრულებაში ასახული რეფორმების დღის წესრიგი არ უნდა განიხილებოდეს როგორც მოქმედების ამომწურავი ჩამონათვალი, რომელიც საქართველომ უნდა განახორციელოს; საარჩევნო რეფორმა ამ არგუმენტის მკაფიო ილუსტრაციაა.

საარჩევნო რეფორმა, რომელიც 18 აპრილის ხელშეკრულებაშია აღწერილი, მხოლოდ საარჩევნო სისტემას ეხება, ანუ როგორ ტარდება არჩევნები. დაბალი ბარიერით პროპორციულ ეროვნულ არჩევნებზე გადასვლა და ადგილობრივ არჩევნებში მაჟორიტარული ოლქების წილის შემცირება მნიშვნელოვანი ნაბიჯებია. სრულად პროპორციულ სისტემაში კოალიციური მთავრობები საბოლოოდ რეალური შესაძლებლობა გახდება, რაც ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ერთად მუშაობას აიძულებს. შედეგად, მცირე ზომის პარტიები აღარ იქნებიან იმ მდგომარეობაში, როდესაც გამარჯვებული პარტია მთელ ძალაუფლებას იღებს. შესაბამისად, შეთანხმება მოწონებას იმსახურებს საარჩევნო სისტემის ცვლილების მიმართულებების განსაზღვრისთვის.

ამავე დროს, საარჩევნო კონკურენციის არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტია წინასაარჩევნო გარემო. ის, თუ რამდენად აქვს ყველა პარტიას მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობები, მნიშვნელოვანი საკითხია. ბალანსი საბიუჯეტო დაფინანსებასა და კერძო შემონირულობებს შორის, მედიასაშუალებებზე წვდომა, მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება – ეს იმ ყველაზე აქტუალურ საკითხებს შორისაა, რომელთა მოგვარებაც კანონმდებლობით არის საჭირო. მიუხედავად ამისა, ამ საკითხებზე 18 აპრილის დოკუმენტი გვთავაზობს ვენეციის კომისიისა და ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (Venice Commission and OSCE/ODIHR 2021) ერთობლივი მოსაზრების განხორციელებას,

რომელიც, თავის მხრივ, მხოლოდ რეკომენდაციას იძლევა, გადაიხედოს ინიცირებული შესწორებები პარტიების დაფინანსების შესახებ. შესაბამისად, რამდენად მოახერხებს საქართველო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პირობების გათანაბრებას ჯერ კიდევ არ არის ნათელი.

პრობლემების მოგვარების გარდა, შეთანხმება ასევე ერთ მნიშვნელოვან შესაძლებლობას იძლევა: „პარტიები იზრუნებენ „ჟან მონეს დიალოგის“ ფორმატის შექმნაზე ევროპარლამენტთან“ (European Union External Action Service 2021). ჟან მონეს დიალოგს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოში კონსენსუალური

დემოკრატიის მშენებლობაში. ეს ინსტრუმენტი უკვე წარმატებით იქნა გამოყენებული ისეთ ქვეყნებში, როგორცაა უკრაინა, ჩრდილოეთ მაკედონია და სერბეთი (Samkharadze 2021, Kakachia and Lebanidze 2021a). თუ ქართული პოლიტიკური ელიტა დანაწევრებული დარჩება და გარედან ჩარევის გარეშე კონსტრუქციული დიალოგის წარმოების შესაძლებლობას ვერ აჩვენებს, ჟან მონეს დიალოგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდება, რომ ხელი შეუწყოს პასუხისმგებლობიანი პოლიტიკის გატარებასა და ევროკავშირის როგორც მედიატორის ახალი როლის განმტკიცებას – რაც მას კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს საქართველოს მომავალთან.

დასკვნა და რეკომენდაციები

საერთო ჯამში, 18 აპრილის შეთანხმება მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოში გაჭიანურებული პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად. დასავლეთი ყურადღებით დააკვირდება როგორ განხორციელდება შეთანხმება. როგორც ამ აქტორებმა აჩვენეს, ისინი უყოყმანოდ გამოიყენებენ უარყოფითი პირობითობის მექანიზმებს, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევენ. შესაბამისად, შეთანხმების განხორციელება შეიძლება, დასავლელი პარტნიორების ფინანსური დახმარების გაგრძელების წინაპირობა გახდეს. გარდა ამისა საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ უნდა იცოდეს, რომ ამ შეთანხმების განხორციელება საკმარისი არ იქნება

თუკი საქართველო 2024 წლისთვის ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანას გეგმავს. მეორეც, საქართველოს მომავალი და როგორ აღიქმება იგი ევროკავშირსა და აშშ-ში, წარმოადგენს ყველა პარტიის საერთო პასუხისმგებლობას, რომლებსაც ქართველი ამომრჩევლები აძლევენ მანდატს, რომ მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

ყველა პოლიტიკურ პარტიას საქართველოში

- აუცილებელია 18 აპრილის შეთანხმების შესრულება არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ სულისკვეთებითაც. ამისათვის ყველა მხარემ თავისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს.
- საჭიროა კონსტრუქციულ მოლაპარაკებებში ჩართვა ჟან მონეს დიალოგის ფორმატში კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარების მიზნით.

- თავი შეიკავონ რადიკალიზების ენის გამოყენებისაგან, ანუ პოლიტიკის, როგორც ნულოვანი ჯამის მქონე საქმიანობისა და ოპონენტების მტრებად წარმოჩენისაგან. ამ

ტიპის ენა ხელს უწყობს ამომრჩევლის იმედგაცრუებას და შინაარსზე ორიენტირებულ პოლიტიკურ დებატებს საჯარო დისკურსის დღის წესრიგის ბოლოში გადაისვრის.

ქართულ ოცნებას

- აუცილებელია, რეფორმების განვითარება ორი ძირითადი მიმართულებით: სასამართლო სისტემა და საარჩევნო გარემო. რეფორმების მიზანი უნდა იყოს საქართველოში ყველა პოლიტიკური პარტიის თანაბარი პირობების შექმნა საზოგადოებრივი ნდობის აღდგენის მიზნით.
- საჭიროა ვენეციის კომისიისა და ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეფასებების გამოთხოვა და ამ ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება საქართველოში პოლიტიკური და სასამართლო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებული კანონპროექტების შემუშავებისას.
- მნიშვნელოვანია კანონმდებლობის შემუშავებისას კონსულტაციები გაიმართოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და მოხდეს ინკლუზიური და გამჭვირვალე საკანონმდებლო პროცესის ორგა-

ნიზება სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის მისაღებად და უმაღლესი ლეგიტიმურობის მოსაპოვებლად.

- მნიშვნელოვანია სისტემური რეფორმების თაობაზე კონსენსუსის ძიება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მაგალითად, ოპოზიციურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ნაცვლად იდეების „გატანისა“ ზეწოლის მეშვეობით.
- საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ ძალაუფლების უსასრულოდ შენარჩუნება შეუძლებელია. ამიტომ, ყველა პოლიტიკური პარტიისთვის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად რეფორმების განხორციელება არის ნაბიჯი იმისაკენ, რომ როდესაც ქართული ოცნება გარდაუვალად ოპოზიციაში აღმოჩნდება, მას ექნება აუცილებელი ინსტიტუციური გარემო არჩევნებში გამარჯვების გზით ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.

ოპოზიციურ პარტიებს

- თავი შეიკავონ პარლამენტის ხანგრძლივი ბოიკოტისაგან და პატივი სცენ არჩევნების შედეგად მიღებულ მანდატებს. ბოიკოტი შეიძლება ეფექტური იყოს, მაგრამ საპარლა-

მენტო პოლიტიკის დატოვება ზღუდავს სივრცეს კონსტრუქციული და გამჭვირვალე დებატებისთვის.

- აუცილებელია გრძელვადიან მიზ-

ნებზე ორიენტირება, როგორცაა იმ სისტემის შეცვლა, რომელიც ოპოზიციურ პარტიებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს. მაგალითად, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პარტიების დაფინანსების წესების რეფორმირებით ან მედიაზე წვდომის უზრუნველყოფითა და სასამართლო ნეიტრალიტეტის გამყარებით.

საქართველოს პრეზიდენტს

- პროაქტიულად ეცადეთ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ნდობის მოპოვებას საქართველოს პრეზიდენტის, როგორც მიუკერძოებელი არბიტრის, იმიჯის შესაქმნელად.
- იმოქმედეთ, როგორც მიუკერძოებელმა ფასილიტატორმა, თუკი მმართველ პარტიასა და ოპოზიციას

- მოერიდეთ საერთაშორისო პარტნიორების ანტაგონიზებას კონსტრუქციულ პოლიტიკურ პროცესებში, მაგალითად, პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობაზე უარის თქმის შედეგად. ამან შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს პარტნიორების მიერ უარყოფითი პირობითობის გამოყენება.

შორის კომუნიკაციის სირთულეები შეიქმნა.

- თუკი კვლავ შევლენ პოლიტიკური პარტიები ჩიხში, სასურველია შუამავლის როლის შესრულება, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის როგორც გამოცდილი დიპლომატის პიროვნული შესაძლებლობების გამოყენების მეშვეობით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს

- აუცილებელია 18 აპრილის შეთანხმების შესრულების მონიტორინგი და ამ მონიტორინგის შედეგების საზოგადოებისთვის წარდგენა მხარეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.
- მნიშვნელოვანია ადვოკატირების ინიციატივების გაგრძელება და ევროკავშირის წარმომადგენლო-

ბის ან/და ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებისათვის ინფორმაციის მიწოდება შეთანხმების განხორციელების შეფერხებისას.

- საჭიროა სისტემური რეფორმების ადვოკატირების გაგრძელება არჩევნებისა და სასამართლო სისტემის სანდოობის ამაღლების მიზნით.

ევროკავშირს

- დაეხმარეთ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებაში ჟან მონეს დიალოგის ფორმატის მეშვეობით.
- განაგრძეთ მედიატორის როლის შესრულება ნახალისებისა და დასჯის მიდგომის გამოყენებით და მედიაციის პროცესში ფორმულირების სტრატეგიის მეშვეობით.
- შეინარჩუნეთ თანმიმდევრულობის მაღალი დონე ყველა ინსტიტუტსა და ნევრ სახელმწიფოს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განავითაროს საქართველომ დემოკრატია მიუკერძოებელი სასამართლო სისტემისა და კონკურენტული არჩევნების მხარდაჭერით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. BBC. 2020. "Armenia, Azerbaijan and Russia Sign Nagorno-Karabakh Peace Deal." Available at: <https://www.bbc.com/news/world-europe-54882564>. Accessed on: May 05, 2021.
2. BBC. 2021a. "Nato Intercepts Russian Planes '10 Times in a Day'." Available at: <https://www.bbc.com/news/world-europe-56577865>. Accessed on: May 05, 2021.
3. BBC. 2021b. "Russia to Pull Troops Back from Near Ukraine." Available at: <https://www.bbc.com/news/world-europe-56842763>. Accessed on: May 05, 2021.
4. BBC. 2021c. "Russian 'Troop Build-up' Near Ukraine Alarms Nato." Available at: <https://www.bbc.com/news/world-europe-56616778>. Accessed on: May 05, 2021.
5. Bergmann, Julian, and Arne Niemann. 2015. "Mediating International Conflicts: The European Union as an Effective Peacemaker?" *JCMS: Journal of Common Market Studies* 53 (5): 957-75. <https://doi.org/10.1111/jcms.12254>.
6. Civil Georgia. 2021a. "EU Mediation: PM Garibashvili, Opposition Agree to Continue Dialogue." Available at: <https://civil.ge/archives/402367>. Accessed on: May 05, 2021.
7. Civil Georgia. 2021b. "European Parliament Members Warn Suspending EU Financial Assistance to Georgia." Available at: <https://civil.ge/archives/410220>. Accessed on: May 05, 2021.
8. Civil Georgia. 2021c. "In Quotes: European Parliament Debates Georgia Crisis." Available at: <https://civil.ge/archives/404524>. Accessed on: May 05, 2021.
9. Civil Georgia. 2021d. "MEPs Address EUCO President on Georgia Before His Tbilisi Visit." Available at: <https://civil.ge/archives/400656>. Accessed on: May 05, 2021.
10. Civil Georgia. 2021e. "Opposition Amends Protest Plans Amid EU-Mediated Dialogue." Available at: <https://civil.ge/archives/403159>. Accessed on: May 05, 2021.
11. Civil Georgia. 2021f. "Socialist MEPs: Time to End Georgia Crisis." Available at: <https://civil.ge/archives/404432>. Accessed on: May 05, 2021.
12. Civil Georgia. 2021g. "U.S. Senators Introduce Resolution on 'Full Implementation' of April 19 Agreement." Available at: <https://civil.ge/archives/415512>. Accessed on: May 05, 2021.
13. Erlanger, Steven. 2020. "E.U. Failure to Impose Sanctions on Belarus Lays Bare Its Weakness." *The New York Times*. Available at: <https://www.nytimes.com/2020/09/24/world/europe/europe-sanctions-belarus-cyprus.html>. Accessed on: May 05, 2021.
14. European Union External Action Service. 2021. "A Way Ahead for Georgia." Available at: https://eeas.europa.eu/sites/default/files/210418_mediation_way_ahead_for_publication_0.pdf. Accessed on: May 05, 2021.
15. European Union. 2012. "Consolidated Versions of the Treaty on European Union and the Treaty on the Functioning of the European Union." *Official Journal of the European Union*, C 326, October 26, 2012. Available at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:12012M/TXT>. Accessed: May 05, 2021.
16. Georgian Institute of Politics. 2021. "Extreme Political Polarization: Implications for Georgian Democracy." Expert Comment, 16. Available at: <http://gip.ge/wp-content/uploads/2021/03/GIP-Expert-comment-16-1.pdf>. Accessed on: May 05, 2021.
17. JAMnews. 2021. "Saakashvili Urges His UNM Party to Sign Agreement with Authorities as Soon as Leader Is Released." Available at: <https://jam-news.net/saakashvili-urges-his-unm-party-to-sign-agreement-with-authorities-as-soon-as-leader-is-released/>. Accessed on: May 05, 2021.
18. Judah, Ben. 2020. "Europe Stands by as Borders Are Redrawn by Nagorno-Karabakh Ceasefire." *Politico*. Available at: <https://www.politico.eu/article/nagorno-karabakh-a-little-war-that-will-shake-europe/>. Accessed on: May 05, 2021.
19. Kakachia, Kornely, and Bidzina Lebanidze. 2021a. "Georgia on EU's mind? Brussels' reinvention as crisis manager." Available at: <https://euobserver.com/opinion/151814>. Accessed on: May 24, 2021.
20. Kakachia, Kornely, and Bidzina Lebanidze. 2021b. "Time to Push for Consensus-based Politics in Georgia." Available at: <https://civil.ge/archives/402624>. Accessed on: May 05, 2021.
21. Kakachia, Kornely, Levan Kakhishvili, Joseph Larsen, and Mariam Grigalashvili. 2017. "Mitigating Russia's Borderization of Georgia: A Strategy to Contain and Engage." *GIP Policy Paper*. Available at: http://gip.ge/wp-content/uploads/2017/12/Policy%20Paper_GIP_2017.pdf. Accessed on: May 05, 2021.
22. Kakhishvili, Levan. 2019. "Protests in Tbilisi: What Can Be Learned about the Role of Russia as an Issue in Georgian Party Competition?" Georgian Institute of Politics. Available at: <http://gip.ge/protests-in-tbilisi-what-can-be-learned-about-the-role-of-russia-as-an-issue-in-georgian-party-competition/>. Accessed on: May 05, 2021.

23. Kakhishvili, Levan, and Donatas Pusly. 2019. "Strategic Communication and Crisis Management: Analysing the Cases of Georgia and Lithuania." GIP Policy Paper. Available at: <http://gip.ge/wp-content/uploads/2019/11/Strategic11.10.2019.pdf>. Accessed on: May 05, 2021.
24. Panchulidze, Elene. 2020. "Limits of Co-Mediation: The EU's Effectiveness in the Geneva International Discussions." *EU Diplomacy Papers*, 3/2020. Available at: https://www.coleurope.eu/system/tdf/research-paper/edp_3_2020_panchulidze.pdf?file=1&type=node&id=55527&force=. Accessed on: May 05, 2021.
25. Reuters. 2020. "Deal Reached for East Ukraine Ceasefire from July 27." Available at: <https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-ceasefire-idUSKCN24N2SX>. Accessed on: May 05, 2021.
26. Samkharadze, Nino. 2021. "Jean Monnet European Dialogue – Next Step towards Consensus-Oriented Politics." *Georgian Institute of Politics (GIP)*. Available at: <http://gip.ge/jean-monnet-european-dialogue-next-step-towards-consensus-oriented-politics/>. Accessed on: May 05, 2021.
27. Venice Commission, and OSCE/ODIHR. 2021. "Joint Opinion on Amendments to the Election Code, the Law on Political Associations of Citizens and the Rules of Procedure of the Parliament of Georgia." Opinion No. 1017/2021, ODIHR Opinion Nr ELE-GEO/406/2020. Available at: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2021\)008-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2021)008-e). Accessed on: May 05, 2021.

რატომ უჭირთ ქართულ პოლიტიკურ
პარტიებს ელასტარაქება?
სტრუქტურული ფაქტორები,
რომლებიც კომპრომისზე დაფუძნებულ
პოლიტიკას აბრკოლებს

სალომე მინუსაშვილი

მოკლე შინაარსი

იმ ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 2020 წლის ოქტომბრის სადავო არჩევნების შემდეგ განვითარდა, ჩიხში შეიყვანა ოპოზიცია და მმართველი პარტია, ერთი მხრივ, რადიკალური მოთხოვნებით და მეორე მხრივ, მკაცრი წინააღმდეგობით. ის ფაქტი, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკებების რამდენიმე რაუნდი გაიმართა, თუნდაც საერთაშორისო ორგანიზაციების ფასილიტაციის პირობებში, თვალნათლივ მიუთითებს იმას, რომ ორივე მხარე განიხილავდა გარკვეული ტიპის შეთანხმებას, მინიმუმ რიტორიკის დონეზე. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებების პროცესი მრავალჯერ შევიდა ჩიხში და მხარეებმა შეთანხმების დოკუმენტს, რომელიც ევროკავშირის წარმომადგენელმა მოამზადა, ხელი მხოლოდ მნიშვნელოვანი საგარეო ზეწოლის შემდეგ მოაწერეს.

რატომ გაუჭირდათ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს მოლაპარაკებები და კომპრომისზე წასვლა საერთო ინტერესის შემთხვევაშიც კი? ამ მოკლე ანგარიშში განხილულია კონფლიქტის მხარეებისთვის ის სტრუქტურული ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც პირად ინტერესებთან ერთად განაპირობებს კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკის მარცხს. ასეთი კონტექსტუალური ფაქტორებია უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია, კონფლიქტის ღირებულებითი სარჩული, პერსონალიზებული პოლიტიკის კულტურა ძლიერი და ქარიზმატული ლიდერებით და პოლიტიკური დევნის ისტორიული გამოცდილება.

საკვანძო სიტყვები: ქართული პოლიტიკური კრიზისი, პოლიტიკური პარტიები, დიალოგი, კომპრომისზე დაფუძნებული პოლიტიკა.

შესავალი

ქუჩის პოლიტიკა საქართველოში ბოლო სამი ათწლეულის ჩვეული მახასიათებელი გახდა და 2020 წლის პოლიტიკური კრიზისიც ამ ტენდენციის კიდევ ერთ ინციდენტად შეიძლება ჩაითვალოს. ოპოზიციური პარტიების კოალიციის მიერ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების არალიერაბამ ქვეყანა კიდევ ერთი დაპირისპირების სერიაში შეიყვანა. მიუხედავად საერთაშორისო დამკვირვებლების, მათ შორი ეუთოს (2020) მიერ არჩევნების ლეგიტიმაციისა, ქართულმა ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტს და ქუჩაში გამოვიდა არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად. სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა 2021 წლის თებერვალში, როდესაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერი ნიკა მელია დააპატიმრეს, მას შემდეგ, რაც მან უარი თქვა 2019 წლის საპროტესტო აქციების გამო

დაკისრებული გირაოს გადახდაზე.

მოლაპარაკებების ორი რაუნდი, რომელიც ევროკავშირის შუამავლის კრისტიან დანიელსონის ხელეწყობით წარიმართა, წარუმატებელი აღმოჩნდა. მოლაპარაკებების მაგიდასთან შეკრების მიუხედავად, არც ერთი მხარე არ ამჟღავნებდა კომპრომისზე წასვლის სურვილს. მათ ძირითად მოთხოვნებში შედიოდა ხელახალი არჩევნების ჩატარება და პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებით დაკავებული პირების განთავისუფლება. ამავდროულად, ეს პოლიტიკური არეულობა არა მხოლოდ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესს, არამედ ზიანს აყენებდა საქართველოს რეპუტაციას დასავლეთში. პოლიტიკური კრიზისის თანმდვი ეს მოვლენები პოტენციურ საფრთხედ იქცა ქვეყნის ევ-

როატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის. მხოლოდ იმ გაფრთხილების შემდეგ, რომ ევროპის და ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენლებს მოთმინება ეწურებოდათ და ევროკავშირმა გადაწყვიტა საქართველოში პირობითობის პრინციპის შემოეტანა მისი "დიდი იმედგაცრუების" გამო, მხარეებმა ხელი მოაწერეს შემოთავაზებულ დოკუმენტს და შეთანხმდნენ კომპრომისებზე (Eurasianet 2021b). 20 აპრილს, ქართული ოცნების ოფიციალური წარმომადგენლის ვაშინგტონში ყოფნის შემდეგ, ქართული ოცნების მთავრობამ პირველმა მოაწერა ხელი დოკუმენტს. ქართული ოცნების შემდეგ დოკუმენტს ხელი რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამაც მოაწერა. თუმცა ეს მხოლოდ პირველი ეტაპია და მხარეებმა უნდა შეძლონ ხელმოწერილი შეთანხმების განხორციელებამდე მისვლა, რაც უკვე შეფერხდა გარკვეული დაბრკოლებების გამო (Eurasianet 2021a).

საბოლოო ჯამში, ქართულ პოლიტიკაში არსებული დაუსრულებელი არასტაბილურობისა და კონფლიქტის მსხვერპლი ისევ ქართული საზოგადოებაა; საბოლოოდ სწორედ საზოგადოებაა რჩება მწვავე სოციალური

და ეკონომიკური პრობლემების პირისპირ, რომლებიც კიდევ უფრო გართულდა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში. პარტიების მიმართ იმედგაცრუება ხშირად აისახება საზოგადოებრივ გამოკითხვებშიც – ქართველების მხოლოდ 18% აცხადებს, რომ ენდობა პოლიტიკურ პარტიებს (CRRC 2020b). ბოლოდროინდელი კრიზისის ფონზე, 2020 წლის დეკემბერში, ქართველების უმრავლესობამ (82%) აღნიშნა, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის მნიშვნელოვანია ერთმანეთთან თანამშრომლობა (CRRC 2020c).

და მაინც რატომ უჭირთ პოლიტიკურ პარტიებს კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარება და მოლაპარაკებების წარმოება? ამ მოკლე ანგარიშში განხილულია რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ართულებს დიალოგს და აფერხებს კომპრომისს პოლიტიკურ პარტიებს შორის. ამ მიზნით, ანგარიშის შემდეგ ნაწილებში განხილულია სხვადასხვა ფაქტორები პოლიტიკური პოლარიზაციიდან და პოლიტიკური კონფლიქტის ტიპით დანყებული, პოლიტიკური კულტურისა და ხელისუფლების გადაცემის წარსული გამოცდილებით დასრულებული.

უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია

პოლარიზაცია და რადიკალიზაცია ახლო წარსულში ქართული პოლიტიკური ცხოვრების საყოველთაოდ ცნობილი მახასიათებელია, რაც 2019 წლის საპროტესტო გამოსვლების შედეგად კიდევ უფრო გამწვავდა (Freedom House 2020). საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესისთვის უკიდურესი პოლარიზაცია უმთავრესი გამოწვევაა (DRI 2018; სილაგაძე და გოზალიშვილი 2019), რაც ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრუქტურულ დაბრკოლებას პოლიტიკური კრიზისების გადასაჭრელად.

საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი ძირითადად ნაწილდება მმართველ პარტია ქართულ ოცნებასა და ძირითად ოპოზიციურ პარტია ნაციონალურ მოძრაობას შორის. საქართველოში პოლიტიკური დაყოფა ეფუძნება პიროვნებებს და არა ურთიერთსაპირისპირო იდეოლოგიებს, რადგან პარტიების იდენტიფიცირება უფრო მეტად ხდება მათ ლიდერებთან, ვიდრე მათ პროგრამებთან. სინამდვილეში, ორივე პარტიის პროგრამა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები მსგავსია – ორივე იკავებს ცენტრისტულ პოზიციას და პრიორიტეტს

ანიჭებს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. ქართული საზოგადოებაც ანალოგიურად გაერთიანებულია იდეოლოგიების (უმეტესობა სოციალისტურ-კონსერვატიული), საკვანძო საკითხების (სოციალურ-ეკონომიკური), ასევე საგარეო პოლიტიკის (ევროატლანტიკური ინტეგრაცია) გარშემო. საკითხებში მსგავსების გამო, ქართველებს აზრთა სხვადასხვაობა აქვთ არა პოლიტიკისა და იდეოლოგიის, არამედ „მიკერძოებული პოლიტიკური მოვლენების, პოლიტიკოსების და მათ მიერ მართული ინსტიტუტების“ გამო (CRRCa 2020). კონკრეტული იდეოლოგიის ან პოლიტიკის ნაცვლად, პოლიტიკური პარტიები თავიანთ ლეგიტიმურობას აფუძნებენ ოპონენტების ნაკლოვანებებზე. პოლიტიკის საკითხებზე კონსტრუქციული დებატების ნაცვლად, ისინი პოლიტიკას პირადი თავდასხმების სივრცედ იყენებენ, ხოლო პარტიების პოლიტიკური დისკურსი მოწინააღმდეგე მხარის დემონიზაციას ემსახურება. მხარეები ხშირად ცდილობენ ერთმანეთის დისკრედიტაციას- როდესაც მათ ლიდერებს, მაგალითად ქართული ოცნებიდან ივანიშვილს მოიხსენიებენ „ოლიგარქად“ და სააკაშვილს ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან – „კრიმინალად“. რადიკალური პოზიციები პოლიტიკას ნულოვანი ჯამის თამაშად აქცევენ და ამით ნებისმიერი კონსენსუსის მიღწევა უკიდურესად რთულდება. რადგან არ არსებობს შუალედი, კომპრომისის ნებისმიერი მცდელობა ღალატად ითვლება. მაგალითად, მას შემდეგ, რაც მოქალაქეთა პარტიამ თებერვლის დასაწყისში უარი თქვა ბოიკოტზე და პარლამენტში შესვლა გადაწყვიტა, ბოიკოტის მომხრე პარტიებმა მისი ლიდერი ალექო ელისაშვილი ქართული ოცნების დღის წესრიგის მიხედვით მოქმედებაში დაადანაშაულეს (რადიო თავისუფლება 2021a).

არჩევნების შემდგომი პოლიტიკური კრიზისის რიტორიკა მდიდარია პოლარი-

ზებული ნარატივით. ორივე მხარემ უარყო თავისი ოპონენტების ლეგიტიმურობა ოპონენტის უარყოფითი იმიჯის ხაზგასმით, დემონიზებით და მისი ქვეყნის საფრთხედ გამოცხადებით. ოპონენტები ერთმანეთს მტრის (რუსეთის) ინტერესების გატარებაში ადანაშაულებდნენ. ქართული ოცნების წარმომადგენლები შექმნილ კრიზისს აფასებდნენ, როგორც ოპოზიციის რადიკალურ მცდელობას სახელმწიფოს საბოტაჟისაკენ. ქართულმა ოცნებამ ნაციონალური მოძრაობა დეოკუპაციის პროცესის შეფერხებაში დაადანაშაულა, რადგან კრიზისის ფონზე საქართველო დანაწევრებულ, არაერთიან ქვეყანად წარმოჩინდა (Civil.ge 2021b). ქართული ოცნების წარმომადგენლებმა ოპოზიციის ზოგიერთ წევრს „კრიმინალები“ (Civil.ge 2021a) და „სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენი“ პოლიტიკოსები უწოდეს (რადიო თავისუფლება 2021b), ხოლო ამ პროცესში სააკაშვილის ჩართულობა გამოიყენეს დესტაბილიზაციისა და პოტენციური რევოლუციის შიშის გასაღვივებლად. ამასობაში, ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა რუსეთის ინტერესების გატარებაში, რადგან თავს არიდებდნენ კომპრომისზე წასვლას (Interpressnews 2021a). მეორე მხრივ, ოპოზიციამ თავი პრორუსული და, შესაბამისად, ერისთვის საფრთხის შემცველ მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ პატრიოტებად წარმოადგინა. ნიკა მელია, რომელიც მთავრობას „რუსეთის მეხუთე კოლონას“ უწოდებს (Interpressnews 2021b), აცხადებს, რომ პარტიის ინტერესებს არანაირი კავშირი არ აქვს კრიზისთან, არამედ „ერთ მხარეს დგას ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მეორე მხარეს კი ოკუპანტის ინტერესები“ (Interpressnews 2021d).

უკიდურესი პოლარიზაციის შემთხვევაში, როდესაც ოპონენტი პარტია საფრთხედ ითვლება ქვეყნისთვის, მმართველი პარტიები უფრო მეტად არღვევენ დემოკრა-

ტიულ წესებს, ხოლო ოპოზიციური ჯგუფები მიმართავენ ექსტრა-კონსტიტუციურ ზომებს, მათ შორის ბოიკოტს, საპროტესტო აქციებსა და კვაზირევოლუციურ საქმიანობას (McCoy, Rahman and Somer 2018). გამომდინარე აქედან, ამ უკანასკნელს უკვე აღარ სჯერა მოქმედი პარტიის დემოკრატიული გზით ჩამოშორების (იბიდ), რაც ბოლოდროინდელი საქართველოს რეალობის ნაწილია. უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია არა მხოლოდ კრიზისის დაწყების ხელშემწყობი ფაქტორია, არამედ სერიოზულად აფერხებს კონფლიქტის მოგვარებას. დაპირისპირება იმდენად ექსტრემალურია, რომ დიალოგი და კონსენსუ-

სი თითქმის ღალატის ტოლფასად ითვლება (DRI 2018). როდესაც მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ქვეყნისა და ერის საფრთხედ წარმოაჩენენ და დაპირისპირება პიროვნული ხასიათისაა, კონკრეტული საკითხის გადასაჭრელად დიალოგი უკიდურესად დიდი გამოწვევაა. ამ ტიპის დაპირისპირებაში მყოფი პოლიტიკოსებისთვის რთული აღმოჩნდა კომპრომისზე წასვლა. კომპრომისზე წასვლას მათი პირადი დისკურსი და ოპონენტთან პირადი დაპირისპირება ზღუდავს. საბოლოოდ, მხარეების კომპრომისამდე მისვლა და ხელშეკრულებაზე ხელმოწერა იყო საგარეო ზეწოლის და არა მათ შორის შეთანხმების შედეგი.

ღირებულებათა კონფლიქტი

ღირებულებითი კონფლიქტები, რომლებიც ადამიანთა რწმენასა და იდენტობას ეფუძნება, ბევრად რთული გადასაჭრელია, ვიდრე რესურსების კონფლიქტები (Harinck, F. and Druckman 2017). მკაფიო იდეოლოგიური პროფილების და ამომრჩეველთან კავშირების არარსებობის ფონზე (DRI 2018), ქართული პარტიები ერთმანეთის დისკრედიტაციის მიზნით იდენტობას იყენებენ, რაც კიდევ უფრო აღრმავებს უკვე არსებულ უკიდურეს პოლარიზაციას. ოპონენტების დადანაშაულება პრორუსულობაში არის ის ბრალდება, რომელსაც ხშირად იყენებენ მეორე მხარის დემონიზაციისთვის. ეს საქართველოს პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, ხაზს უსვამს რა იმას, თუ ვინ არის ევროპელი და ვინ საბჭოთა მენტალიტეტის და შესაბამისად თანამშრომლობს საქართველოს მტერთან. ქართული ოპოზიცია და მთავრობა ამ ბრალდებების გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ქართული ოცნების პირველი გამარჯვებიდანვე. ოპოზიცია პრეტენზიებს გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველომ, ქართული ოცნების მიმართველობის პირობებში აიღო

რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის კურსი და მკაცრად ლობირებდა საქართველოს პროდასავლური კურსის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად განმსაზღვრელ რეზოლუციას. 2019 წლის ივნისის ე.წ. „გავრილოვის ღამე“ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მიზეზი იყო პერსონალიზებული ნარატივების წინა პლანზე წამოსაწევად, რასაც თავისი შედეგები მოჰყვა 2020-21 წლების პოლიტიკურ კრიზისში. რუსეთის კომუნისტური პარტიის წევრის, სერგეი გავრილოვის მიერ მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის დელეგატებისთვის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან სიტყვით მიმართვას მოჰყვა ქართული ოპოზიციის ბოიკოტი და მიტინგი პარლამენტის შენობის წინ. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნების წარმომადგენლებმა დაგმეს ეს ღონისძიება და მთავრობის რამდენიმე წევრი გადადგა კიდევ, ეს მოვლენა შეფასდა მთავრობის მიერ რუსი ოკუპანტების მოწვევად და ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც მთავრობის პრორუსული განწყობის გამოხატვა (Civil.ge 2019). მთავრობის მიერ მიტინგის

ძალადობრივი დაშლის გადანყვეტილებამ და და ოპოზიციის ლიდერის, ნიკა მელიას, დაკავებამ პარლამენტის შენობაში ხალხის შეყვანის გამო კიდევ უფრო გაამწვავა კრიზისი. ეს უკანასკნელი შემთხვევა და მელიას მიერ გირაოს საფასურის გადახდაზე უარი ბოლოდროინდელი პოლიტიკური კრიზისის გამომწვევი მთავარი ფაქტორი გახდა.

ამ იდენტობაზე დაფუძნებულმა პოლიტიკური დისკურსმა ასევე შეაღწია 2020-21 წლების პოლიტიკურ კრიზისში. არჩევნებამდეც კი, ოპოზიციის წარმომადგენლებმა უკვე აღნიშნეს, რომ ქართული ოცნების გამარჯვება ნიშნავდა რუსი ოლიგარქების გამარჯვებას საქართველოში, ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის კურსზე უარის თქმას და რუსეთის დაშომინების პოლიტიკის გატარებას (Tabula 2020). ოპოზიციამ და მომიტინგეებმა ნიკა მელიას განთავისუფლების მოთხოვნებთან ერთად პარალელები გაავლეს დაპატიმრებასა და საბჭოთა კავშირის ოკუპაციას შორის და გააკეთეს ბანერები შემდეგი წარწერებით: „შეაჩერე პუტინის ოცნება“, „ჩვენ არ გვინდა საბჭოთა კავშირში დაბრუნება“ (Jam-News 2021; Politico 2021) და „თავისუფლება გავრილოვის

პირად პატიმარს“ (Interpressnews 2021c). ამის საპასუხოდ, მთავრობამ არა მხოლოდ უარყო ბრალდებები, არამედ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ მათი მმართველობის დროს დაუახლოვდა საქართველო ევროკავშირს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის და DCFTA-ს გზით. არჩევნებში ოპოზიციის შედეგების საბოტაჟისა და ქუჩაში საპროტესტო აქციების რუსეთის ინტერესების გატარებად შეფასების გზით მთავრობა ასევე შეეცადა ოპოზიციის პოლიტიკის პრორუსულად წარმოჩენას. (Interpressnews 2021a).

გასაკვირი არ არის, რომ იდენტობაზე დაფუძნებული კონფლიქტი, სადაც მხარეები ერთმანეთს ჩამორჩენილ პრორუსებად და პროგრესულ პროდასავლელებად ყოფენ, კიდევ უფრო ართულებს კრიზისის გადალახვას. ოპოზიციის მხრიდან ნებისმიერ კომპრომისზე წასვლა შეიძლება შეფასდეს პრინციპების ღალატად და „რუსეთის მეგობარ“ ხელისუფლებასთან თანამშრომლობად. გასაკვირი არაა, რომ ამ ვითარებაში ახალი არჩევნების გზით მთავრობის შეცვლა რჩება ოპოზიციისთვის ერთადერთ გზად საქართველოს „პროგრესული“ განვითარებისთვის.

პოლიტიკური კულტურა და ისტორიული გამოცდილება

პერსონალიზირებული პოლიტიკური კულტურა ქარიზმატული ლიდერებით ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა მემკვიდრეობიდან მომდინარეობს, რაც საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაციის ერთ-ერთი მამოძრავებელ ფაქტორია (DRI 2018). ეს ხელს უშლის კომპრომისზე დაფუძნებულ მიდგომას. ქართული საზოგადოების სწრაფვა ქარიზმატული ლიდერებისკენ, რომლებიც „ერის მამად“ მოიაზრებიან ასევე უკავშირდება ძლიერი ლიდერის იდეას (Chedia 2014). ქართველების 50% ფიქრობს, რომ

მთავრობა უნდა ჰგავდეს მშობელს, ხოლო 41% თვლის, რომ მთავრობა დაქირავებული მუშახელის მსგავსია (CRRC 2020b). ძლიერი ლიდერისკენ სწრაფვაში თავის როლს თამაშობს ასევე საბჭოთა სტილის ხელმძღვანელის ეფექტი და გასაკვირი არაა, რომ ქართველების 45% სტალინის მიმართ პოზიტიურადაა განწყობილი (DW 2013). ასეთი კულტურის პირობებში, ყველა მხარე საკუთარ თავს აღიქვამს, როგორც ჭეშმარიტების ექსკლუზიურ გარანტს. დამარცხებისა და გამარჯვების აღიარება ყოვ-

ელთვის რთულია და მმართველი პარტიები იშვიათად ერიდებიან ოპოზიციის მიმართ მკაცრ რეაგირებას, რომ არაფერი ვთქვათ კომპრომისის თავიდან აცილებაზე. შესაბამისად, იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც საქართველოს ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და შეასრულა მომიტინგეების მოთხოვნები, გარდა ვარდების რევოლუციის დროს ედუარდ შევარდნაძისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კი, უკიდურესი საგარეო ზეწოლა და ლეგიტიმურობის სრული დაკარგვა იყო უმთავრესი ფაქტორები გადანყვეტილების მიღების პროცესში. ამრიგად, იმ კონტექსტში, როდესაც 2020 წლის არჩევნების შედეგები საქართველოს პარტნიორებმა ლეგიტიმურად აღიარეს, მთავრობამ კომპრომისი არა მხოლოდ სისუსტის ნიშნად მიიჩნია, არამედ გამოიყენა ზეწოლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა მაგალითად ოპოზიციის წევრების დაპატიმრება. საბოლოოდ მხოლოდ ძლიერმა საგარეო ზეწოლამ მიიყვანა მთავრობა და ოპოზიცია შეთანხმების დოკუმენტის ხელმოწერამდე.

გარდა ამისა, საქართველოს წარსულმა გამოცდილებამ, რომელიც დამარცხებული პოლიტიკური მხარის თითქმის განადგურებას გულისხმობს ქვეყნის სუსტი ინსტიტუციების ფონზე, შექმნა „პოლიტიკური ნადირობის“ შთაბეჭდილება (DRI 2018). ეს ხელისუფლებაში მყოფ ძალას უბიძგებს ყველანაირად გაუწიოს წინააღმდეგა იმას, რასაც შეუძლია მისი ძალუფლების დაკარგვა გამოიწვიოს. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ძალაუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო რადიკალური ეკონომიკური რეფორმები და მოდერნიზაციის პროცესი, რომლის დროსაც მოხდა ყოფილი მთავრობის წარმომადგენლების დაკავება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება-გადამე-

ტების, ასევე უკანონო ქონების დაგროვების ბრალდებით. შევარდნაძის მთავრობასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ბიზნესმენსა და ყოფილ პოლიტიკოსზე განსაკუთრებით იძიეს შური (Rimple 2012). ანალოგიურად, ქართული ოცნების მთავრობას ბრალი დასდეს შერჩევით სამართლიანობაში 2012 წლის არჩევნებში ნაციონალური მოძრაობისგან ხელისუფლების გადაბარების შემდეგ. ქართულმა ოცნებამ „სამართლიანობის აღდგენის“ სახელით აღძრა სისხლის სამართლის საქმე ნაციონალური მოძრაობის მრავალი ყოფილი მინისტრის, აგრეთვე თბილისის ყოფილი მერის და პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ მისი საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ. ეს ნაბიჯი გააკრიტიკეს საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებმა, რადგან შეიცავდა პოლიტიკურად მოტივირებულ ქმედებებს (Council of Europe 2014). სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები და მართლმსაჯულების სისტემის მკაცრი კონტროლი, როგორც წესი, მოქმედ მთავრობას საშუალებას აძლევს შეუზღუდავი თავისუფლება გამოიყენოს ოპონენტების მიმართ. ასეთი გამოცდილება საქართველოში ნებისმიერ კრიზისს ნულოვანი ჯამის თამაშად აქცევს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ კომპრომისი აღიქმება მარცხად, დამარცხებული არა მხოლოდ კარგავს ძალაუფლებას, არამედ შესაძლოა გახდეს პოლიტიკური შევინროებისა და დევნის ობიექტი. ამიტომ, ყველა მხარე მაქსიმალურად ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას, ან უფრო სასტიკი მეთოდებით იბრძოლებს მის მისაღებად. ამით ასევე შეიძლება აიხსნას, თუ რატომ მოითხოვდა ოპოზიცია ახალ არჩევნებს დაჟინებით და მოქმედი მთავრობის სრულ ჩამოშორებას, მთავრობამ კი კატეგორიულად შეუშალა ხელი ახალი არჩევნების ჩატარებას.

დასკვნა და რეკომენდაციები

ზემოთ განხილული კონტექსტური ფაქტორები ხელს უშლიან ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ჩამოაყალიბონ კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკა, რასაც ასევე ართულებს მმართველ და ოპოზიციურ პარტიებსა და მათ დამფუძნებლებს შორის პირადი მტრობა. უკიდურესი პოლარიზაცია, როდესაც პარტიები ატარებენ პერსონალიზებულ და არა პრობლემებზე დაფუძნებულ პოლიტიკას, კიდევ უფრო აღრმავებს პირადი დაპირისპირებებით გამოწვეულ პოლიტიკურ კონფლიქტს. ამას თან ახლავს ავტორიტეტული ლიდერების პოლიტიკური კულტურა და ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ დევნის შიში, რაც ხელს უშლის კომპრომისს და თანამშრომლობაზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებას. ასეთი ხშირი დაპირისპირებების შედეგად, ქართული საზოგადოება, რომელმაც უკვე საკმარისი პოლიტიკური კრიზისი და არეულობა გამოიარა, კიდევ უფრო შორდება

პოლიტიკას. გასაკვირი არ არის, რომ ყოველი ხუთიდან მხოლოდ ერთი ქართველი ენდობა პოლიტიკურ პარტიებს (CRRRC 2020b). გამომდინარე იქიდან, რომ არჩევნების გზით ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარების შემთხვევები საქართველოში ძალიან იშვიათია, საზოგადოებამ შეიძლება დაკარგოს არჩევნების, როგორც ხელისუფლების გადაცემის საშუალების მიმართ ინტერესი. ქართულ საზოგადოებას უფრო მეტად ანუხებს ისეთი საკითხები, როგორიცაა უმუშევრობა და სიღარიბე, ხოლო პოლიტიკური პარტიები ისევ განაგრძობენ ბრძოლას პირადი ინტერესების გარშემო. სანამ პოლიტიკური ძალები ვერ მოახერხებენ დიალოგის შემაფერხებელი ფაქტორების გადალახვას და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად მოქმედებას, საქართველოს დემოკრატიული განვითარება მხოლოდ იმედად დარჩება.

მმართველი პარტიისთვის:

- უფრო მეტად კონცენტრირდეს საქმიანობის შინაარსზე, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის “კრიმინალური წარსულის” ხაზგასმაზე;
- მოერიდოს პიროვნებების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებას-კონკრეტული პარტიის წევრების შეურაცხყოფას ან დადანაშაულებას;
- სრულყოფილად შეაფასოს საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვითარებული კრიზისი და სათანადოდ მოემზადოს მომავალი 2021 წლის არჩევნებისათვის, რათა თავიდან აიცილოს მორიგი პოლიტიკური არეულობა;
- გადახედოს კომპრომისის მნიშვნელობას ქართულ პოლიტიკაში და გააგრძელოს მუშაობა შემდგომ კომპრომისებზე, რომლებიც დაპირებისამებრ უნდა შესრულდეს;
- პარლამენტში გადამწყვეტ რეფორმებზე მუშაობისას უზრუნველყოს ძალაუფლების სამართლიანი გადანაწილება – მათ შორის სასამართლო სისტემის და საარჩევნო რეფორმების დროს.
- დამოუკიდებელი ინსტიტუციების გაძლიერების მიზნით რეფორმების დაწყება და განხორციელება, მაგ. სასამართლო სისტემის რეფორმა.

ოპოზიციისთვის:

- აჩვენოს თანამშრომლობის სურვილი პარლამენტში განხორციელებულ რეფორმებზე მუშაობისას;
- მოერიდოს პიროვნებებზე ორიენტირებული სიძულვილის ენის გამოყენებას – კონკრეტული პარტიის წევრების შეურაცხყოფას ან დადანაშაულებას;
- პარლამენტში ძალთა გადანაწილების რეფორმებზე მუშაობის პროცესში აწარმოოს პრობლემებზე

ორიენტირებული პოლიტიკა;

- თავიდან აიცილოს მმართველი პარტიის მიერ „გაყალბებული არჩევნების“ სახელით წამოწყებული პოლიტიკური პროცესების უკომპრომისო დელეგიტიმაცია;
- 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე მოამზადოს ძლიერი სტრატეგია ამომრჩეველთა მოზიდვისთვის, პრობლემებზე ორიენტირებული საარჩევნო კამპანიის ჩატარების საფუძველზე.

ევროკავშირისა და აშშ-სთვის:

- გააგრძელოს პარლამენტში პარტიებს შორის ურთიერთობებზე, თანამშრომლობასა და ძალაუფლების სამართლიან გადანაწილებაზე დაკვირვება;
- შეაფასოს კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკური კულტურის შემდგომი პერსპექტივები საქართველოში და ამის შესაბამისად დაგეგმოს და გააგრძელოს საქმიანობა;
- პოლიტიკური პირობითობა უფრო

პროაქტიულად გამოიყენოს როგორც მთავრობის, ასევე ოპოზიციის წინააღმდეგ;

- საჯაროდ დაგმოს ქართული პოლიტიკის პერსონალიზებული დისკურსი და პარტიის ცალკეული წარმომადგენლების მისამართით სიძულვილის ენის გამოყენება;
- საჯაროდ წახალისოს პრობლემებზე დაფუძნებული კამპანიები და პოლიტიკა როგორც მთავრობაში, ასევე ოპოზიციაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Chedia, B. 2014. The Paradigm of Post-Soviet Political Leadership in Georgia. *Central Asia and the Caucasus*, 15, 3: 135-144.
2. Civil.ge. 2019. *Ruling party on the defensive over Russian MP in the parliament speaker seat*. 20 June. Available at: <https://civil.ge/archives/309180>
3. Civil.ge. 2021a. *After UNM Raid PM Garibashvili Talks National Unity, Dialogue*. 23 February. Available at: <https://civil.ge/archives/400500>
4. Civil.ge. 2021b. *PM-Designate Garibashvili Prioritizes "Order", State Intervention in Economy*. 22 February. Available at: <https://civil.ge/archives/399785>
5. Council of Europe. 2014. *The functioning of democratic institutions in Georgia*. 5 September. Available at: <https://pace.coe.int/en/files/21275>
6. CRRC. 2020a. *Are Georgian Voters Polarized?* Policy Bulletin. Available at: <https://civil.ge/wp-content/uploads/2020/10/Polarization-brief-6Oct2020.pdf>
7. CRRC. 2020b. *Caucasus Barometer*. December 2020. Available at: <https://caucasusbarometer.org/en/cb2020ge/TRUPPS/>
8. CRRC. 2020c. NDI: *Public Attitudes in Georgia*. December 2020. Available at: <https://caucasusbarometer.org/en/nd2020ge/IMPAPCEO/>
9. DRI Democracy Reporting International. 2018. *The High Price of Extreme Political Polarization in Georgia*. 15 August. Available at: <https://bit.ly/3cSaCxL>
10. DW Deutsche Welle. 2013. *Georgia's Struggle with the Stalin Myth*. 8 August. Available at: <https://www.dw.com/en/georgias-struggle-with-the-stalin-myth/a-16992871>
11. Eurasianet. 2021a. *Landmark Georgian political agreement already hitting snags*. 23 April. Available at: <https://eurasianet.org/landmark-georgian-political-agreement-already-hitting-snags>
15. Eurasianet. 2021b. *U.S., Europe start to play hardball with Georgia*. 19 April. Available at: <https://eurasianet.org/us-europe-start-to-play-hardball-with-georgia>
16. Freedom House. 2020. *Nations in Transit*. Available at: <https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2020>
17. Harinck, F. and Druckman, D. 2017. Do Negotiation Interventions Matter? Resolving Conflict Interests and Values. *PS: Political Science and Politics*, 38, 2: 201-209.
18. Jam-News. 2021. *Georgian Opposition Leader Arrested During Special Op, Tear Gas Used*. 23 February. Available at: <https://jam-news.net/georgian-opposition-leader-arrested-during-special-op-tear-gas-used/>
19. McCoy, J., Rahman, T. and Somer, M. 2018. Polarization and the Global Crisis of Democracy: Common Patterns, Dynamics and Pernicious Consequences for Democratic Politics. *American Behavioral Scientist*, 61, 1: 16-42.
20. OSCE. 2020. *Georgia – Parliamentary Elections, 31 October 2020*. Preliminary Conclusions. Available at: <https://www.osce.org/files/f/documents/a/d/469005.pdf>
21. Politico. 2021. *Georgia Crisis Tests Western Push to Check Russian Influence*. 24 February. Available at: <https://www.politico.eu/article/georgia-political-crisis-nika-melia-opposition-west-us-europe-response-russia-influence/>
22. Rimple, P. 2012. *Who Owned Georgia 2003-2012*. Transparency International Georgia. Available at: <https://www.transparency.ge/en/content/stub-366>
23. Silagadze, G. and Gozalishvili, N. 2019. *Extreme Political Polarization as a Threat to Democratization*. Available at: <https://medium.com/strengthening-political-pluralism-in-georgia/extreme-political-polarisation-as-a-threat-to-democratisation-d331d7f6592b>
24. Interpressnews. 2021a. *გია ვოლსკი - სხვადასხვა საერთაშორისო დონეზე უკვე ლიად მიუთითებენ, რომ საბოტაჟი რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს ემთხვევა*. 28 March. Available at: <https://www.interpressnews.ge/ka/article/648654-gia-volski-sxvadasxva-saertashoriso-doneze-ukve-giad-miutiteben-rom-sabotazhi-rusetis-strategiul-interesebs-emptxveva/>
25. Interpressnews. 2021b. *ნიკა მელია - გავრილოვის დავალება შესრულებულია - მორჩილებაში მყოფმა 88 ადამიანმა გაამართლა თავისუფლების და ღირსების იდეა*. 16 February. Available at: <https://www.interpressnews.ge/ka/article/642364-nika-melia-gavrilovis-davaleba-shesrulebulia-morchilebashi-mqopma-88-adamianma-gaasamartla-tavisuplebis-da-ghirsების-idea>
26. Interpressnews. 2021c. *“თავისუფლება გავრილოვის პირად პატიმარს”*. 4 March. Available at: <https://www.interpressnews.ge/ka/article/644988-tavisupleba-gavrilovis-pirad-patimars-am-sloganit-nacionaluri-mozraobis-carmomadgenlebi-rustavis-penitenciur-dacesebulebastan-nika-melias-mxardamcher-akcias-martaven>
27. Interpressnews. 2021c. *ნიკა მელია - ერთ მხარეს ქართული ეროვნული მოძრაობა დგას, მეორე მხ-*

არეს კი ოკუპანტების ინტერესი - ახლა ჩვენი არჩევანია ვინ, სად დადგება. 17 February. Available at: <https://www.interpressnews.ge/ka/article/642557-nika-melia-ert-mxares-kartuli-erovnuli-moz-raoba-dgas-meore-mxares-ki-okupantebis-interesi-axla-chveni-archevania-vin-sad-dadgeba>

28. Publika. 2021. ვადამდელი არჩევნები არის წითელი ხაზი. ეს საკითხი არ განიხილება - ღარიბაშვილი. 2 March. Available at: <https://publika.ge/vadamdeli-archevnebi-aris-witeli-khazi-es-sakitkhi-ar-gan-ikhileba-gharibashvili/>
29. Radio Liberty. 2021a. “მოქალაქეების” ლიდერები პირველად დაესწრებიან პარლამენტის სხდომას. 2 February. Available at: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31081468.html>
30. Radio Liberty. 2021b. ნაკლები დასავლეთი და მეტი რუსეთი - რა მოჰყვება შედეგად კრიზისის გაღრმავებას? 23 February. Available at: <https://bit.ly/31NRQB6>
31. Tabula. 2020. რა მოხდება თუ ქართული ოცნება მესამე ვადით დარჩება? 27 October. Available at: <https://tabula.ge/ge/news/655801-ra-mokhdeba-tu-kartuli-otsneba-mesame-vadit>

პარტიული პოლიტიკის
რადიკალიზაცია საქართველოში:
ბრძოლვადიანი სტაბილურობის
ძიებები

გიგინა ლებანიძე

მოკლე შინაარსი

არჩევნების შემდგომ განვითარებულმა ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა კრიზისმა წარმოაჩინა, რომ პოლიტიკური რადიკალიზაცია ქართული მყიფე დემოკრატიისათვის მთავარი გამოწვევაა. პოლიტიკური რადიკალიზაცია აფერხებს საქართველოში დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესს და ასუსტებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, რადგან ხელს უწყობს პოლიტიკურ მოთამაშეთა შორის უნდობლობას, ამომრჩეველთა პოლიტიკური პროცესიდან გამოთიშვას, პოლიტიკური ნდობის პოლარიზაციასა და ზოგადად, პოლიტიკური ლეგიტიმაციის ნაკლებობას. პოლიტიკური ნდობის პოლარიზაცია და საკვანძო სახელმწიფო ინსტიტუტების – პირველ რიგში, სასამართლოს და ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) – პოლიტიკური ლეგიტიმაციის ნაკლებობა ქვეყანას, ასევე, კრიზისის დროს ეფექტიანი მედიაციის ფუნქციის მქონე ინსტიტუტების გარეშე ტოვებს, რასაც საგარეო მედიაციის მცდელობები სრულად ვერ ჩაანაცვლებს. შესაბამისად, ქვეყანაში მუდმივი პოლიტი-

კური კრიზისისათვის რჩება სივრცე. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ქართული პოლიტიკის რადიკალიზაციის გადაჭრის ორი, გრძელვადიანი და ვრცელი გზა: ინსტიტუციური და საზოგადოებრივი. ინსტიტუციური თვალსაზრისით, პოლიტიკური განმუხტვის პროცესში საკვანძო ინსტიტუტების – სასამართლოებისა და ცესკოს – ინსტიტუციური რეფორმირება და დამახასიათებელი პოლიტიკური მიკერძობისაგან მათი გათავისუფლება უნდა მოხდეს. საზოგადოებისთვის კი, აღნიშნული და სხვა საკვანძო სახელმწიფო ინსტიტუტების რეპუტაცია უნდა გაუმჯობესდეს, რამდენადაც საზოგადოების აღქმები საარჩევნო პროცესის მთლიანობისა და პოლიტიკური რადიკალიზაციის გადალახვისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური რადიკალიზაცია, პოლიტიკური ნდობა, პარტიები, კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკა, დემოკრატია

შესავალი

პოლიტიკური რადიკალიზაცია¹ ქართული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს ყოველთვის წარმოადგენდა, თუმცა მან ახალი განზომილება შეიძინა და მეტად გამოიკვეთა 2012 წლიდან, სახელისუფლებო ცვლილების შემდეგ. პოლიტიკურმა რადიკალიზაციამ პიკს მიაღწია ბოლო არჩევნების შემდგომ განვითარებული კრიზისის დროს, როდესაც ოპონენტი პოლიტიკური პარტიები ვერ შეთანხმდნენ 2020 წლის არჩევნების შედეგების შესახებ, ხოლო პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლას ექვსთვიანი აქტიური საერთაშორისო მედიაცია დასჭირდა.

პოლიტიკური რადიკალიზაცია, ინსტი-

ტუციურ ჩიხთან ერთად, პოლიტიკური ნდობის პოლარიზაციასაც იწვევს, რასაც თავის მხრივ, საჯარო ინსტიტუტების ლეგიტიმაციის შესუსტებისა და ამომრჩეველთა პოლიტიკური პროცესებით იმედგაცრუებისაკენ მივყავართ. შესაბამისად, პოლიტიკური რადიკალიზაციის დაძლევა ქართული დემოკრატიის კონსოლიდაციისა და ზოგადად, ინსტიტუტების ეფექტიანობისათვის საკვანძო მნიშვნელობისაა. საქართველოსათვის ეს, აგრეთვე, იქნება ლაკმუსის ტესტი, რომ აღიდგინოს იმიჯი და ევროკავშირისა და საერთაშორისო საზოგადოების თვალში აღმოსავლეთ პარტნიორობის წამყვანი სახელმწიფოს პოზიცია განიმტკიცოს.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი იკვლევს საქართველოში პოლიტიკური რადიკალიზაციის თავისებურებებს, განსაზღვრავს მის უარყოფით გავლენას, ადგენს კავშირს პოლიტიკურ რადიკალიზაციასა და პოლიტიკური ნდობის პოლარიზაციას

შორის და წარადგენს მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის გადაჭრის შესაძლო გზებს. წარკვევი სრულდება რეკომენდაციებით საქართველოს მთავრობის, ოპოზიციისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის.

საქართველოში პოლიტიკური რადიკალიზაციის ძირითადი თავისებურებები

კონცეპტუალურად, 2012 წლის შემდეგ, პოლიტიკური რადიკალიზაცია, შესაძლებელია, განვიხილოთ თომას ქაროთერსის მიერ შემოთავაზებული ჰიბრიდული რეჟიმების ჭრილში, კერძოდ, „დომინანტური ძალაუფლების სისტემის“ და „სუსტი პლურალიზმის“ ორ უკიდურეს ტიპს შორის (Carothers, 2002). დომინანტური ძალაუფლების სისტემები ხასიათდება „სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ნაშლილი საზღვრით“ (ibid, 12), ისინი „იმართებიან პოლიტიკური ძალების მიერ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებენ ხელისუფლებას [...] და რომელიმე ოპოზიციური პარტიის ხელისუფლებაში მოსვლა მრავალი წლის განმავლობაში რთული წარმოსადგენია“ (Ibid, 13). სუსტი პლურალიზმის შემთხვევაში კი, „ძალაუფლება მონაცვლეობს ფუნდამენტურად განსხვავებულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის“ დემოკრატიული არჩევნების გზით, თუმცა პოლიტიკური ელიტები აღიქმება, როგორც „კორუმპირებული“, „საკუთარი ინტერესებით მოქმედი“ „არაეფექტიანი“ და ელექტორატისგან გაუცხოებული (ibid, 10). ჰიბრიდული რეჟიმის ორივე ტიპი ხასიათდება სუსტი, ნაკლებად ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტებით, სუსტი სოციალური და პოლიტიკური რეფორმებით, იმედგაცრუებული და პოლიტიკურად გაუცხოებული ელექტორატით (ibid).

ქართულ პოლიტიკურ სისტემას, არცთუ იშვიათად, დომინანტური ძალაუფლების

სისტემად აღიქვამდნენ (Berglund, 2014), თუმცა, 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ ქვეყანამ უფრო სუსტი პლურალიზმისკენ გადაინაცვლა და, მას შემდეგ, ორივე ტიპის რეჟიმის ნაზავს წარმოადგენს. დღესდღეობით, მმართველი ქართული ოცნების პარტია განაგებს მნიშვნელოვან სახელმწიფო რესურსებს, თუმცა იძულების ნაცვლად უფრო მეტად ეყრდნობა კოოპტაციას, რაც მას მოსახლეობის თვალში, თავის წინამორბედთან შედარებით, ნაკლებად საშიშ ძალად წარმოაჩენს. პოლიტიკური მოედანიც მმართველი პარტიის სასარგებლოდაა გადახრილი, თუმცა არჩევნები საკმარისად კონკურენტულია ოპოზიციისათვის, რომ ხელისუფლების არჩევნებში დამარცხება შეძლოს. ხელისუფლების ყველა შტო – სასამართლოს ჩათვლით – სულ მცირე, ნაწილობრივ პოლიტიზებულია და ქართული ოცნების გავლენის ქვეშ არის, თუმცა, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, სხვადასხვა ადგილობრივი სახალხო (ე.წ. „გრასრუთ“) მოძრაობა, სიცოცხლისუნარიანი ოპოზიციური პარტიები და ზენოლა დასავლეთიდან აფერხებს ავტორიტარულ კონსოლიდაციას.

თუმცა, 2012 წლიდან ქართული პოლიტიკური სისტემის მთავარი განმსაზღვრელი თავისებურება ორი მეტოქე პოლიტიკური ჯგუფის – მმართველი პარტია ქართული ოცნებისა და ამომრჩეველთა რაოდენობის თვალსაზრისით ყველაზე დიდი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის, ნაციონალ-

ური მოძრაობისა და მისგან გამოყოფილი პოლიტიკური ჯგუფების – მიერ გამოწვეული პოლიტიკური რადიკალიზაციაა. 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ორი დაპირისპირებული ბანაკი ჩართულია ორმხრივი სიძულვილისა და ერთმანეთის დემონიზების პროცესში. ქართული პოლიტიკის ასეთმა რადიკალიზაციამ შეაღწია მედია გარემოშიც და მედიის უკიდურესი პოლარიზება გამოიწვია. საკვანძო მედია საშუალებების ცალმხრივი და მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკაⁱⁱ სიმართლის პარალელურ აღქმას აჩენს და შესაბამისად, საზოგადოების პოლარიზებისათვის ნიადაგს ქმნის. საკუთარ მხარდამჭერებსა და ამომრჩეველთან ასეთი რადიკალური და უკომპრომისო გზავნილებით კომუნიკა-

ცია სწორედ დაპირისპირებული ჯგუფების სტრატეგიის ნაწილია (Kakabadze and Lebanidze, 2021).

შეჯამებისთვის, საქართველოში პოლიტიკური რადიკალიზაცია რამდენიმე მთავარი მახასიათებლით გამოირჩევა:ⁱⁱⁱ პოლიტიკური ოპონენტების მუდმივი დემონიზება და მათ მიმართ სიძულვილის ენა, წამყვანი მედია საშუალებების მიკერძოებული და პოლარიზებული სარედაქციო პოლიტიკა, ნეგატიური საარჩევნო კამპანია, შემცირებული და პოლარიზებული პოლიტიკური ნდობა. პოლიტიკური რადიკალიზაციაზე გავლენას ახდენს მმართველი პარტიის დომინანტური პოზიციაც, რისი შედეგიცაა საჯარო ინსტიტუტების პოლიტიზება.

პოლიტიკური რადიკალიზაციიდან პოლიტიკური ნდობის პოლარიზებამდე

2012 წლიდან საქართველოში პოლიტიკურმა რადიკალიზაციამ გაამწვავა დემოკრატიზაციისა და ზოგადი განვითარების თვალსაზრისით არსებული პრობლემები. პირველ რიგში, პოლიტიკური რადიკალიზაცია ართულებს დემოკრატიული წესებით თამაშს, რადგან ის პოლიტიკას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლად აქცევს (Minesashvili 2021). არჩევნებში დამარცხება ხშირად პოლიტიკური მოთამაშეების პოლიტიკური სცენიდან სრულად გაქრობას ან თუნდაც მათ გისოსებს მიღმა აღმოჩენას ნიშნავს. პოსტ-საბჭოთა კონტექსტში, საქართველოში მთავრობები ამის გარეშეც, მოსალოდნელზე დიდხანს რჩებიან ხელისუფლებაში. თუმცა, პოლიტიკური რადიკალიზაციის შედეგად, ხელისუფლებაში მყოფთ დამატებითი მოტივაცია უჩნდებათ, რომ ხელისუფლების ცვლილება ნებისმიერ ფასად აირიდონ თავიდან. შედეგად, ინსტიტუტების დემოკრატიული არქიტექტურა ზიანდება, რამდენადაც ხელისუფლებაში მყოფი ცდილობს, შეინარჩუნოს გავლენა საკვან-


ძო სახელმწიფო ინსტიტუტებზე – განსაკუთრებით, სასამართლოსა და საარჩევნო სისტემაზე, და ამით ხელი შეუშალოს ოპონენტის გამარჯვებას. ოპოზიციური პარტიები, მეორე მხრივ, არ აღიარებენ პოლიტიკური ინსტიტუტების ლეგიტიმაციას და მათ ხელისუფლების დამხმარე ინსტრუმენტებად მიიჩნევენ.

მეორე მხრივ, პოლიტიკური რადიკალიზაცია იწვევს მხარდამჭერთა რიგებში პოლიტიკური ნდობის პოლარიზაციას (Hetherington and Rudolph 2018) და საჯარო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური მოთამაშეების, მათ შორის, თავად პოლიტიკური პარტიების, ლეგიტიმაციის შესუსტებას. პოლიტიკური ნდობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ხელს უწყობს საზოგადოების კონსოლიდაციას დემოკრატიულ გარემოში და პოლიტიკურ ინსტიტუტებს თავიანთი ფუნქციების შესრულების ლეგიტიმაციას ანიჭებს. თუმცა, პოლარიზებული ნდობა „ხელს უშლის საჯარო პოლიტიკის შესახებ საზო-

გადოებრივი კონსენსუსის ფორმირებას, რადგან ის ამცირებს მოქალაქეთა მზობას საკუთარ იდეოლოგიურ მისწრაფებებზე წინ საერთო სიკეთე დააყენონ“ (Hetherington and Rudolph 2015, 580). პოლიტიკური რადიკალიზაცია აგრეთვე ხელს უშლის მოქალაქეებს შორის პოზიტიურ მოლოდინების წარმოქმნას „საჯარო ინსტიტუტების პროცედურული სამართლიანობის“ (Tyler 1997), კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე მთავრობების“ (Rothstein and Uslaner 2005) და „რესურსების თანაბარი განაწილების შესახებ“ (Rothstein and Uslaner 2005). ყველა ეს ფაქტორი მაღალი ხარისხის სოციალური და პოლიტიკური ნდობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ. შეჯამების სახ-

ით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შემთხვევაში, სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმაცია სხვადასხვა მიზეზის გამო – პოლიტიკური მიკერძობიდან ხარვეზიან ფუნქციონირებამდე – ყოველთვის საკმაოდ დაბალი იყო. თუმცა, პოლიტიკური რადიკალიზაცია კიდევ უფრო ამწვავებს აღნიშნულ პრობლემას, რამეთუ იგი ხელს უწყობს ელექტორატის მიკერძობულ მსჯელობასაც. მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებისას, მმართველი პარტიისა და ოპოზიციის მომხრეებს შორის აშკარა განსხვავებები საჯარო ინსტიტუტების შეფასებისას თუ სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების შესახებ. (ცხრილი 1)

ცხრილი 1: ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) იმსახურებს ნდობას დაკისრებულ ფუნქციების შესრულებისას? (პარტიული შეხედულებებისაგან დამოუკიდებლად)^{iv}




წყარო: IRI. 2021. "Public Opinion Survey: Residents of Georgia. February 2021." მოძიებულია 05.05.2021. https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_february_2021_1.pdf?fbclid=IwAR1mE0WyKgHfK9gYuohb9D4bCr8YcS7Dyl0QjtnvKvo-jQ_dH84W9ok6fztg. P. 43.

პოლიტიკურმა რადიკალიზაციამ, ასევე, გამოიწვია პოლიტიკური პარტიების დაშორება ამომრჩეველთა შეხედულებებთან და წლების განმავლობაში პარტიებსა და ელექტორატს შორის მოთხოვნა – მიწოდებას შორის განსხვავება მხოლოდ გაიზარდა. მაგალითად, 2021 წლის თებერვლის გამოკითხვის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობისათვის ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი მოიცავდა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საკითხებს (ლი 2021, 10), პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში კი პოლიტიკური ბრძოლა და პირადი დაპირისპირება დომინირებს, რაც არ ემთხვევა მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს.^v ამასთან, შეუსაბამობაა ამომრჩეველთა და პოლიტიკური პარტიების ინტერესებს შორის პოლიტიკისა და მმართველობის კუთხით და პოლიტიკური პარტიების მიერ გაწეული საქმიანობის თვალსაზრისით. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა ემხრობა კოალიციური მთავრობისა და კონსენსუსზე დაფუძნებული მმართველობის იდეებს ქარ-

თულ პოლიტიკაში (NDI 2020, 55-56), პოლიტიკური პარტიები კი კვლავ მოქმედებენ ნულოვან-ჯამური თამაშის პრინციპებით და ხელმძღვანელობენ ორმხრივი დემონიზების პოლიტიკით. ამდენად, პოლიტიკური პარტიებისადმი მოსახლეობის უნდობლობა გასაკვირი არ არის. ამას მოწმობს საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი ბოლო გამოკითხვა, რომლის თანახმადაც მოსახლეობა პროფესიული კავშირების შემდეგ, ყველაზე ნაკლებად კეთილგანწყობილი პოლიტიკური პარტიების მიმართაა (ცხრილი 2). რამდენიმე გამოკითხვის თანახმად კი, რეგიონისა და ევროპის მასშტაბით, საქართველოში გადაუწყვეტელ და კრიტიკულად განწყობილ ამომრჩეველთა ყველაზე მაღალი პროცენტი ფიქსირდება (NDI 2020, IRI 2021). თუმცა, საინტერესოა, რომ ევროკავშირის ბევრი წევრი ქვეყნისაგან განსხვავებით, კრიტიკულად განწყობილი ამომრჩეველი ბოლო დრომდე თავს იკავებს პოპულისტური უკიდურესად მემარჯვენე ან უკიდურესად მემარცხენე პარტიების მხარდაჭერისგან.

ცხრილი 2: გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი აზრი თითოეული ამ ინსტიტუტის შესახებ



წყარო: IRI. 2021. "Public Opinion Survey: Residents of Georgia. February 2021." მოძიებულია 05.05.2021. https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_february_2021_1.pdf?fbclid=IwAR1mE0WyKgHFk9gYuohb9D4bCr8YcS7Dyl0QjtnvKvo-jQ_dH84W9ok6fztg. P. 57.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ, ზოგადად, პოლიტიკური რადიკალიზაციის უარყოფითი გავლენა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე მრავალმხრივია. ის ასუსტებს სახელმწიფო ინსტიტუტებს და ხელს უწყობს მათ მიმართ პოლიტიკური ნდობის პოლარიზებას, ამომრჩეველთა ჩამოშორებას პოლიტიკური პროცესებიდან, ასუსტებს ინსტიტუციურ რეფორმებს, ხელისუფლებაში მყოფ ძალას კი უკარგავს მოტივაციას, რომ ითამაშოს დემოკრატიული თამაშის წესებით და რიგ შემთხვევაში, პოლიტიკური მხარეების მიერ, არსებული პოლიტიკური და სოციალური წესრიგის უარყოფასაც უწყობს ხელს.

პოლიტიკური რადიკალიზაციიდან კონსენსუსზე დაფუძნებულ პოლიტიკამდე

ბოლოდროინდელ კრიზისში ევროკავშირის მედიაციამ ქმედითი შედეგები გამოიღო და, მოკლევადიან პერსპექტივაში, პოლიტიკური კრიზისი რამდენადმე განმუხტა (Samkharadze 2021), მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ჩართულობით კრიზისის მოკლევადიან შედეგებზე ორიენტირებული მართვა მდგრადი ვერ იქნება. სანაცვლოდ, საერთაშორისო საზოგადოებამ და ადგილობრივმა აქტორებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად, რომ პოლიტიკური რადიკალიზაცია შეიცვალოს თანამშრომლობასა და კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკით (Kakachia and Lebanidze 2021). ზოგადი თვალსაზრისით, აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად არსებობს ორი, გრძელვადიანი გადაწყვეტის გზა. პირველი გზაა –

ინსტიტუციური, ხოლო მეორე – საზოგადოებრივი. ინსტიტუციური თვალსაზრისით, უნდა მოხდეს საკვანძო ინსტიტუტების – სასამართლოებისა და ცესკოს – სათანადო რეფორმირება და მათი გათავისუფლება პოლიტიკური მიკერძოებისაგან მათი გამჭვირვალობის, ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის გზით.

ამგვარი რეფორმები, ასევე, ხელს შეუწყობს პოლიტიკური ნდობის პოლარიზების შემცირებას და სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმაციის ზრდას, რაც ინსტიტუციურ რეფორმებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენადაც არჩევნების და ზოგადად, პოლიტიკური პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის აღდგენა „უფრო მოიცავს მეტს, ვიდრე მხოლოდ საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულება, საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტიანი ფუნქციონირება ან არაკეთილსინდისიერი საარჩევნო პრაქტიკის არარსებობა“ (Kofi Anan Foundation 2012, 5). მოსახლეობის მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტების სოციალური მიმღებლობა „ინვესტ მოსახლეობის მხრიდან საკანონმდებლო ნორმების ნებაყოფლობით შესრულებასა და თანამშრომლობას“ (Risse and Stollenwerk 2018). ამის მისაღწევად კი, როგორც მთავრობის, ისე ოპოზიციური პარტიების ძალისხმევაა საჭირო. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს

საკვანძო სახელმწიფო ინსტიტუტების დეპოლიტიზება, საპასუხოდ კი, ოპოზიციამ კონსტრუქციული თანამშრომლობის პოლიტიკური ნება უნდა გამოავლინოს.

რეფორმების პროცესში პრობლემის გადასაჭრელად, შესაძლებელია, რომ ევროკავშირმა შეასრულოს რეფორმის პროცესის „მეურვის“ როლი. საქართველოში არსებული ბერკეტების გათვალისწინებით, ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს საშუალება აქვთ, ხელისუფლებას დააჩქარებინონ რეფორმები, ხოლო ოპოზიციურ პარტიებს კი – თანამშრომლობაზე დაფუძნებული ქმედებებისკენ უბიძგონ. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ხშირად თავს არიდებს პირობითობაზე დაფუძნებულ მიდგომებს, ბოლო დროს მან დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა (Kakhishvili forthcoming), თუმცა საჭიროა მეტი აქტიურობა, რომ პოლიტიკურ პროცესებში ბოლოდროინდელი გარღვევა გარდაიქმნას დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესად (Panchulidze and Youngs 2021). ამისათვის კი, სასურველია, ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთ სტრატეგიაში ასახონ პირობითობაზე დაფუძნებული მიდგომა და საკუთარ დოკუმენტებსა და ანგარიშებში უფრო მკაფიოდ განსაზღვრონ რეფორმების წარმატების განმსაზღვრელი პარამეტრები და ნიშნულები.

დასკვნა და რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ ქართული დემოკრატიის კონსოლიდაცია პოლიტიკური რადიკალიზაციის ფაქტორის გარეშეც დიდი ხნის განმავლობაში შეფერხებული იყო, პოლიტიკურმა რადიკალიზაციამ გამოავლინა კიდევ ერთი უარყოფითი ფაქტორი და რელსებიდან გადაიყვანა საქართველოს დემოკრატიული პროგრესი. ეს იმის ფონზე, რომ არსებობდა მოლოდინები, რომ დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესი 2012 წელს ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილების შემდეგ უნდა დაჩქარებულიყო. პოლიტიკური რადიკალიზაცია

ბევრ პრობლემას წარმოშობს: იგი ამცირებს ინსტიტუტების ეფექტიანობას ქვეყანაში და იწვევს პოლიტიკური ნდობის პოლარიზებას. აღნიშნული გამოწვევების გადალახვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარებისათვის და ევრო-ატლანტიკური პერსპექტივებისათვის. ამდენად, წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს რამდენიმე რეკომენდაციას სხვადასხვა პოლიტიკური აქტორისთვის, თუ რა როლი უნდა შეასრულონ მათ აღნიშნული ამოცანების მისაღწევად:

საქართველოს მთავრობისა და პოლიტიკური პარტიებისათვის:

- ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაითვალისწინონ მზარდი განსხვავებები თავიანთ პროგრამასა და ამომრჩეველთა შეხედულებებს შორის და ჩაერთონ საგნობრივ დისკუსიებში, რათა თავიდან აიცილონ ამომრჩეველთა იმედგაცრუება;
- ფართო საზოგადოებასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან კოორდინაციით, პოლიტიკურად ნეიტრალური ფიგურები უნდა დაინიშნონ საკვანძო თანამდებობებზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და იმ ინსტიტუტებში, რომლებიც თავისუფალნი უნდა იყვნენ პოლიტიკური მიკერძოებულობისაგან;
- მთავრობამ, ვენეციის კომისიისა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციების შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს სასამართლო სისტემის ფუნდამენტური რეფორმირება და გაათავისუფლოს ის კლანური კორპორატიზმისაგან;
- სასამართლო რეფორმასთან ერთად, პოლიტიკურმა პარტიებმა, საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობით, უნდა იმუშაონ დამატებით საკანონმდებლო მექანიზმებზე, რათა თავიდან იქნას არიდებული პოლიტიკურად მოტივირებული საკადრო პოლიტიკა საჯარო სამსახურებში, ისევე, როგორც წინა მთავრობების წარმომადგენელთა არასამართლიანი დევნა.

ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის:

- ვენეციის კომისიის შეფასების შესაბამისად და სხვა საერთაშორისო აქტორებთან თანამშრომლობით, ევროკავშირმა და აშშ-მ წარმოადგინონ გრძელვადიანი რეფორმების პაკეტი სასამართლოსა და საარჩევნო სისტემის რეფორმების მიმართულებით, მკაფიო ნიშნულებით და ამ ნიშნულების მიღწევის საფუძველზე განისაზღვროს ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებში შემდგომი პროგრესი;
- გააფრთხილონ პოლიტიკური პარტიები, რომ შესუსტდება მათი კავშირები და შეუწყდებათ ევროპული პარტიული ოჯახების ასოცირებული წევრობა, თუ გააგრძელებენ რადიკალურ პოლიტიკურ დღის წესრიგს და არ იხელმძღვანელებენ თანამშრომლობისა და კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკის პრინციპებით;
- წაახალისონ კონსესუსისათვის მზად მყოფი, კონსტრუქციული პარტიები კავშირების გაძლიერებით, მაღალი დონის კონტაქტებითა და შესაძლებლობის შემთხვევაში, ევროპულ პარტიათა ოჯახებში ასოცირებული წევრობით;
- ხელი შეუწყონ პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევისათვის საჭირო ახალ ფორმატებს, მათ შორის, ჟან მონეს ფორმატს,^{vi} მაგრამ, ასევე, შემუშავდეს საზოგადოებრივი დიალოგის ახალი ფორმატები არაპარტიული მოთამაშეებისათვის (არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები).

ⁱ მაკკოლეისა და მოსკალენკოს თანახმად, „ინდივიდების, ჯგუფებისა და მასის (პოლიტიკური) რადიკალიზაცია ხდება ქმედებისა და მათზე რეაგირების ტრაექტორიით, რომლის ბოლოსაც იშვიათად აკონტროლებს მხოლოდ ერთი რომელიმე მხარე. რადიკალიზაცია ყალიბდება ურთიერთობის პროცესში, ჯგუფებს შორის უთანხმოებისა და კონფლიქტისას, რაც აღიზიანებს ორივე მხარეს“ (2011, 223)

ⁱ მიკერძოებული მედიის ყველაზე მკაფიო მაგალითებია ტელევიზიები: თV მთავარი (ენმ-სთან სიახლოვე) და TV იმედი (ქართულ ოცნებასთან სიახლოვე)

ⁱⁱⁱ ზოგიერთი ავტორის თანახმად, პოლიტიკური რადიკალიზაცია უნდა განვასხვაოთ საზოგადოებრივი რადიკალიზაციისაგან, რამდენადაც პირველი შეეხება უკიდურეს პოლიტიკურ მიკერძოებულობას და შესაძლებელია არ ასახავდეს ამგვარ დაყოფას საზოგადოებაში. იხილეთ ლინკოლნ მიტჩელის კომენტარი: GIP. 2021. Extreme Political Polarization: Implications for Georgian Democracy. <http://gip.ge/wp-content/uploads/2021/03/GIP-Expert-comment-16-1.pdf>. P. 4.

^{iv} * „სხვა პარტიები“ გულისხმობს პარტიებს, რომლებიც აირჩიეს რესპონდენტთა 3%-ზე ნაკლებმა: მოქალაქეები, ერთიანი საქართველო, სამართლიანობისათვის, რესპუბლიკელები

^v მაგალითად, IRI-ს ბოლო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 26% უჭერდა მხარს ოპოზიციის გადანყვეტილებას პარლამენტში შესვლის ბიოკოტთან დაკავშირებით „ცალსახად“ ან „ნაწილობრივ“ (IRI 2021, 34)

^{vi} ჟან-მონეს დიალოგის ფორმატის შესახებ იხილეთ: Samkharadze, Nino. 2021. “Jean Monnet European Dialogue – Next Step towards Consensus-Oriented Politics.” Georgian Institute of Politics. <http://gip.ge/jean-monnet-european-dialogue-next-step-towards-consensus-oriented-politics/>.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Berglund, Christofer. 2014. "Georgia between dominant-power politics, feckless pluralism, and democracy." *Demokratizatsiya* 22 (3).
2. Carothers, Thomas. 2002. "The End of the Transition Paradigm." *Journal of Democracy* 13 (1): 5-21. <https://doi.org/10.1353/jod.2002.0003>.
3. Hetherington, Marc J, and Thomas J Rudolph. 2015. *Why Washington won't work: Polarization, political trust, and the governing crisis*. Vol. 104. University of Chicago Press.
4. ---. 2018. "Political trust and polarization." In *The Oxford Handbook of Social and Political Trust*, 579-597. Oxford University Press.
5. IRI. 2021. "Public Opinion Survey: Residents of Georgia. February 2021." Accessed 05.05.2021. https://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation-georgia_february_2021_1.pdf?fbclid=IwAR1mE0WyKgHFk9gYuohb9D4bCr8YcS7Dy10QjtnvKvojQ_dH84W9ok6fztg.
6. Kakabadze, Shota, and Bidzina Lebanidze. 2021. *Stakeholders of (De-) Radicalisation in Georgia*. <https://dradproject.com/?publications=stakeholders-of-de-radicalisation-in-georgia>.
7. Kakachia, Kornely, and Bidzina Lebanidze. 2021. "Time to Push for Consensus-based Politics in Georgia." *Civil Georgia*. Accessed 05.05.2021. <https://civil.ge/archives/402624>.
8. Kakhishvili, Levan. *The European Union's New Role in Georgia: Successful Mediation and a Way Ahead*. Georgian Institute of Politics. <http://gip.ge/the-european-unions-new-role-in-georgia-successful-mediation-and-a-way-ahead/>
9. Kofi Annan Foundation. 2012. *Confidence in elections and the acceptance of results. A policy brief of the Electoral Integrity Initiative*.
10. McCauley, Clark, and Sophia Moskalenko. 2011. *Friction: How radicalization happens to them and us*. Oxford University Press.
11. Minesashvili, Salome. 2021. *Why do Georgian Political Parties Struggle to Negotiate? Structural Disincentives to Compromise-Based Politics*. Georgian Institute of Politics. <http://gip.ge/wp-content/uploads/2021/05/Policy-Brief-33.pdf>.
12. NDI. 2020. "Public Attitudes in Georgia. Results of December 2020 telephone survey." Accessed 05.05.2021. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202020%20Poll_ENG_FINAL.pdf.
13. Panchulidze, Elene, and Richard Youngs. 2021. "Defusing Georgia's Political Crisis: An EU Foreign Policy Success?". *Carnegie Europe*. Accessed 14.05.2021. https://carnegieeurope.eu/2021/05/10/defusing-georgia-s-political-crisis-eu-foreign-policy-success-pub-84494?fbclid=IwAR1STGg-28pgs6t8XJ-yLYQkdP9p6WHR4P-T8OWGEqzbHloiFdLp_7zafNNM.
14. Risse, Thomas, and Eric Stollenwerk. 2018. "Legitimacy in areas of limited statehood." *Annual Review of Political Science* 21: 403-418.
15. Rothstein, Bo, and Eric M Uslaner. 2005. "All for all: Equality, corruption, and social trust." *World Pol.* 58: 41.
16. Samkharadze, Nino. 2021. "Jean Monnet European Dialogue - Next Step towards Consensus-Oriented Politics." *Georgian Institute of Politics*. <http://gip.ge/jean-monnet-european-dialogue-next-step-towards-consensus-oriented-politics/>.
17. Tyler, Tom R. 1997. "Citizen discontent with legal procedures: A social science perspective on civil procedure reform." *The American Journal of Comparative Law* 45 (4): 871-904.

საქართველო ლეგითიმური არჩევნების
ძიებაში: არის თუ არა ელექტრონული
არჩევნები გამოსავალი?

ზორა კაკაბაძე

მოკლე შინაარსი

აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი აანალიზებს არჩევნებში ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის გამოყენებას საქართველოში და მასთან დაკავშირებულ დადებით და უარყოფით მხარეებს. დოკუმენტი დეტალურად აანალიზებს ესტონეთის მაგალითს – ერთადერთი ქვეყნის, რომელიც ელექტრონული ხმის მიცემის მეთოდს ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით იყენებს, და ცდილობს, ესტონური მაგალითი ქართულ კონტექსტს მოარგოს. ელექტრონული ხმის მიცემის უპირატესობების გათვალისწინებით (არარეზიდენტი ამომრჩევლის აქტივობისა და განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების ჩართულობის ზრდა საარჩევნო პროცესში, ასევე საოკუპაციო ხაზს მიღმა მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის ხმის მიცე-

მის პროცედურის გამარტივება), საჭიროა, რომ ხელისუფლებამ დაიწყოს აღნიშნული მიმართულებით მუშაობა, რამდენადაც საქართველოში ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვამ შესაძლოა ბევრი ძირეული საკითხის გადაჭრას შეუწყოს ხელი. თუმცა, ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვამდე, აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვან გამონვევასთან გამკლავება. კერძოდ, ინტერნეტის შეღწევა ადობისა და ციფრული წიგნიერების მაჩვენებელი ქვეყნის რურალურ დასახლებებში კვლავ საკმაოდ დაბალია. გარდა ამისა, სისტემის მიმართ ნდობის გასაზრდელად ბევრი მუშაობაა საჭირო.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ესტონეთი, ელექტრონული ხმის მიცემა, არჩევნები, ნდობა, ამომრჩევლის აქტივობა.

შესავალი

ელექტრონული ხმის მიცემა ნაწილობრივ გამოიყენება ზოგიერთ ქვეყანაში (ავსტრალია, ნორვეგია, შვეიცარია, კანადა), ხოლო ესტონეთი უკვე თხუთმეტი წელია, რაც აღნიშნულ სისტემას მთელი ქვეყნის მასშტაბით იყენებს. აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი სწორედ ესტონეთის მაგალითზე აკეთებს აქცენტს და ამ უკანასკნელს დეტალურად აანალიზებს, რამდენადაც ბალტიის სახელმწიფოები ყოველთვის მისაბამ მაგალითს წარმოადგენდნენ საქართველოსთვის და მათ ბევრჯერ გაუწევიათ ქვეყნისთვის დახმარება ეკონომიკური რეფორმებისა (Radio Free Europe 2007) თუ რუსეთის ჰიბრიდულ ომთან გამკლავების მიმართულებით (Kirk 2008). ელექტრონული ხმის მიცემის სისტემა შესაძლოა ბალტიის სახელმწიფოების გამოცდილების დანერგვის კიდევ ერთი წარმატებული მაგალი-

თი აღმოჩნდეს საქართველოსთვის.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა საარჩევნო პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი განვითარებადი დემოკრატიებისთვის, როგორც საქართველოა. ქვეყანაში ჩატარებულ არჩევნებს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის განმავლობაში მუდმივად თან სდევს უნდობლობა დამარცხებული ოპონენტების მხრიდან. გამონაკლისს არც ბოლო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და მისი შემდგომი პოლიტიკური კრიზისი წარმოადგენდა. შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტი აღნიშნულ გრძელვადიან გამონვევასთან გასამკლავებლად კონკრეტული გამოსავლის შეთავაზებას ისახავს მიზნად, რომელიც ადამიანური ფაქტორის შეზღუდვასა და ელექტრონული არჩევ-

ნების დანერგვას გულისხმობს. დოკუმენტი ხარჯ-სარგებლიანობის მეთოდის გამოყენებით ანალიზებს ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის გამოყენებას ქართულ კონტექსტში. გაანალიზებულია ელექტრონული არჩევნების დანერგვის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოსალოდნელი გამოწვევები საქართველოსთვის, აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების გზები და ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის ზოგადი უპირატესობები საქართველოს ჯერ კიდევ მყიდვე დემოკრატიის გაძლიერების მიმართულეებით.

რატომ არის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ელექტრონული ხმის მიცემის ესტონური გამოცდილება?

ესტონეთი ცნობილია თავისი პროგრესული ციფრული საზოგადოებით. ჯერ კიდევ 1996 წლისთვის, ქვეყანაში კარგად იყო განვითარებული ელექტრონული საბანკო სერვისები, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ელექტრონული სისტემების დანერგვასა და შემდგომში ID ბარათების გამოყენებაში (e-estonia n.d.). 2000 წლისთვის, ესტონეთს უკვე ჰქონდა მთავრობის ელექტრონული კაბინეტის შესვლადრები ონლაინ რეჟიმში და გადასახადების ელექტრონულად დეკლარირების სისტემა. ამჟამად ესტონეთის მოზინადრეების 99% (მათ შორის უცხოელებიც) ფლობს მიკროჩიპით აღჭურვილ ID ბარათს და მათგან 70% აღნიშნულ ბარათს სხვადასხვა მომსახურების ონლაინ რეჟიმში მისაღებად რეგულარულად იყენებს (იგივე). ელექტრონული ხმის მიცემა ესტონეთში პირველად 2005 წელს

პოლიტიკის დოკუმენტის პირველი ნაწილი ანალიზებს ესტონეთის მიერ ელექტრონული ხმის მიცემის სისტემით სარგებლობის დადებით მხარეებსა და უპირატესობებს. მისი შემდეგი ნაწილი მიმოიხილავს ელექტრონული ხმის მიცემის მექანიზმებს, ანუ როგორ მუშაობს ის პრაქტიკაში, რის შემდეგაც უშუალოდ საქართველოს მაგალითია განხილული. პოლიტიკის დოკუმენტის ბოლო ნაწილში კი წარმოდგენილია პროცესში ჩართული აქტორების მიმართ განკუთვნილი რეკომენდაციები.

დაინერგა და იმ დროისთვის აღნიშნული მეთოდი ქვეყანაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მხოლოდ 2%-მა აირჩია. თუმცა, ბოლო საპარლამენტო არჩევნებში (2019), აღნიშნული მაჩვენებელი 27%-მდე გაიზარდა (Valimised "Statistics about..." n.d.). აღსანიშნავია, რომ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან, 43,8%-მა ხმა ელექტრონულად მისცა (იგივე), რაც ამ მეთოდის პოპულარობაზე მიუთითებს. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვას მნიშვნელოვნად არ შეუცვლია ამომრჩეველთა საერთო აქტივობის მაჩვენებელი, თუმცა, ამის მიუხედავად, მას შესამჩნევი გავლენა ჰქონდა იმ ესტონელებზე, რომლებიც ხმას საზღვარგარეთ აძლევენ (Valimised n.d.). როგორც

ელექტრონული ხმის მიცემის პროცესი

ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის გამოსაყენებლად, ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს ID ბარათი პინ-კოდებთან ერთად, შესაბამისი ID პროგრამა კომპიუტერში და ბარათის ნამკითხველი. აღნიშნული ID ბარათები საქართველოში გაცემული პირადობის ელექტრონული მონმობების მსგავსია, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო სერვისის მისაღებად გამოიყენება. მაგალითისთვის, თბილისში საცხოვრებელ ბინასთან ახლოს ავტომობილის უფასო პარკირების ნებართვის მისაღებად, საჭიროა ID ბარათისა და პინ-კოდების გამოყენებით ონლაინ სისტემაში შესვლა. ელექტრონულად ხმის მისაცემად, ამომრჩეველმა უნდა გადმონეროს შესაბამისი აპლიკაცია. ამომრჩეველებს მიენოდებათ ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორაა შესაძლებელი საარჩევნო ვებ-გვერდისა და აპლიკაციის ნამდვილობის შემოწმება.

აპლიკაციის გადმონერის შემდეგ, ამომრჩეველი შედის სისტემაში პირველი პინ-კოდით და გადადის არჩენებში მონაწილე პარტიების სიაზე. აპლიკაციას ასევე აქვს პარტიული კანდიდატების სახელების ნახვის, ან სიაში კონკრეტული სახელების ძებნის ფუნქცია. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი თავის არჩევანს გააკეთებს, მან ეს უნდა დაადასტუროს ელექტრონული ხელმოწერის, ანუ მეორე პინ-კოდის საშუალებით. ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ, კომპიუტერის ეკრანზე ჩნდება QR კოდი, რომლის საშუალებითაც ამომრჩეველს შეუძლია შეამოწმოს, სწორად მოინიშნა თუ არა მისი არჩევანი და აისახა თუ არა მისი ხმა სერვერზე.

სისტემა აღჭურვილია რამდენიმე მექანიზმით, რომელიც უზრუნველყოფს ამომრჩეველის თავისუფალ არჩევანს, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამომრჩეველს არა მხოლოდ მისთვის მოსახერხებელი თარიღისა და დროის არჩევა შეუძლია ხმის მისაცემად, არამედ სისტემა მოგვიანებით არჩევანის შეცვლის შესაძლებლობასაც იძლევა. გარდა ამისა, ამომრჩეველს შეუძლია საარჩევნო უბანზე მისვლა და საარჩევნო ბიულეტენით ხმის მიცემა, რომელიც მის ელექტრონულ ხმას ავტომატურად გააბათილებს. დამატებითი უსაფრთხოების ზომები მოიცავს ელექტრონული ხმების იმგვარად დამფიქსირებას, რომ შეუძლებელია ხმის მიხედვით ამომრჩეველის იდენტიფიცირება, რამდენადაც ელექტრონული სისტემა პერსონალურ მონაცემებსა და დაფიქსირებულ ხმებს ერთმანეთისგან იზოლირებულად ინახავს. ელექტრონული ხმები მხოლოდ უშუალოდ დათვლის პროცესში იხსნება საიდუმლო პაროლით, რომელზე წვდომაც საარჩევნო კომისიის წევრებს აქვთ და აღნიშნული ხმების გასახსნელად საჭიროა წევრების ნახევარზე მეტის ადგილზე ყოფნა (Valimised n.d.b).

დოკუმენტის შემდეგ ნაწილშია აღნიშნული, ყოველივე ეს ელექტრონული ხმის მიცემის სისტემას მიმზიდველს ხდის საქართველოსთვის, რამდენადაც მას შეუძლია, ხმის მიცემის პროცესი უფრო მარტივი გახადოს

საზღვარგარეთ მცხოვრები ათასობით ქართველისთვისა და თბილისში მცხოვრები, თუმცა ოფიციალურად სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში რეგისტრირებული სტუდენტებისთვის.

ელექტრონული არჩევნების დანერგვა საქართველოში: მოსალოდნელი უპირატესობები და გამოწვევები

„საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებულ მე-5 ყოველწლიურ კონფერენციაზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ჟვანიამ, აღნიშნა, რომ სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ხმის მიცემის მეთოდებთან დაკავშირებით რაიმე ტიპის ფუნდამენტური ცვლილება არ იგეგმებოდა. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ონლაინ პლატფორმები მხოლოდ ისეთი ტექნიკური საკითხების გადასაჭრელად გამოიყენება, როგორცაა საარჩევნო სიების გადამონმება ან სადამკვირვებლო მისიებისა და სხვა კომისიების რეგისტრაცია (5th Annual Democracy Conference 2020, 4-5). თუმცა, დღესდღეობით საქართველოში ID ბარათების ტექნოლოგია სხვადასხვა სამთავრობო სერვისის მისაღებად აქტიურად გამოიყენება. ქვეყნის იუსტიციის მინისტრმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ტექნოლოგიურად საქართველო მზად არის ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დასანერგად,

თუმცა კვლავ საჭიროა რიგი საკანონმდებლო ზომების მიღება – ID ბარათების პოპულარიზაცია და ინტერნეტის შეღწევადობის მაჩვენებლის გაზრდა (IPN 2015; Khatchapuridze 2016). იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ტექნოლოგიურად ნამდვილად მზად არის ამომრჩევლებისთვის ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის შესათავაზებლად, **საჭიროა, რომ მთავრობამ რაც შეიძლება მოკლე დროში დაიწყოს ამ მიმართულებით მუშაობა ყველა იმ უპირატესობის გათვალისწინებით, რაც ელექტრონულ არჩევნებს ახლავს თან. კერძოდ, ერთი მხრივ, საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისა და ოფიციალური რეგისტრაციის ადგილიდან შორს მცხოვრები სტუდენტების საარჩევნო აქტივობის გაზრდა, ხოლო მეორე მხრივ, საარჩევნო პროცესში ეთნიკური უმცირესობების მეტად აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.**

გავლენა ამომრჩეველთა აქტივობასა და ჩართულობაზე

როგორც უკვე აღინიშნა დოკუმენტის შესავალ ნაწილში, ელექტრონული ხმის მიცემა ესტონეთში პირველად 2005 წელს დაინერგა და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ესტონეთის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებელი სტაბილურად 60%-ზე მეტია, თუმცა ელექტრონულად დაფიქსირებული ხმების წილი თანდათანობით იზრდება. 2007 წელს, ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვის შემდეგ ჩატარებულ პირველ საპარლამენტო არჩევნებში, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 3,4%-მა დააფიქსირა არჩევანი ელექტრონულად. აღნიშნული

მაჩვენებელი ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე (2019) 27,9%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება იმავე მაჩვენებელს უშუალოდ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან, 2007 წელს ის 5,5%-ს, ხოლო 2019 წელს კი – 43,8%-ს შეადგენდა (Valimised, n.d.c).

საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებელი საქართველოშიც საკმაოდ მაღალია. კოვიდ-19-ის კრიზისის მიუხედავად, ბოლო საპარლამენტო არჩევნების (2020) პირველ ტურზე ამომრჩეველთა აქტივობა 56,11% იყო (CESKO “Elections 2020” 2020). თუმცა, იგივე მაჩვენებელმა

საზღვარგარეთ მხოლოდ 18,5% შეადგინა – დაახლოებით სამჯერ ნაკლები (იგივე). ქართულ კონტექსტში, ელექტრონული არჩევნების სისტემის გამოყენებით ამომრჩეველთა აქტივობის გაზრდა ორი კონკრეტული მიმართულებით არის შესაძლებელი.

პირველ რიგში, ელექტრონულ ხმის მიცემას შესაძლოა დადებითი გავლენა ჰქონდეს **ახალგაზრდებისა და სტუდენტების საარჩევნო პროცესში ჩართულობაზე**. ქართველი სტუდენტების უმეტესობა თბილისში ცხოვრობს, თუმცა ოფიციალურად ქვეყნის სხვადასხვა მუნიციპალიტეტშია რეგისტრირებული. შესაბამისად, არჩევნებში ხმის მისაცემად მათ უწევთ რეგისტრაციის ადგილას გამგზავრება, რასაც ყოველთვის ვერ ახერხებენ სამსახურში აღებული ვალდებულებების, ერთი დღისთვის ზედმეტად დიდი მანძილისა, თუ უბრალოდ სიზარმაცის გამო. კვლევები აჩვენებს, რომ საარჩევნო უბანთან მისასვლელად საჭირო ხარჯები უფრო დიდ როლს თამაშობს არჩევნებში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, ვიდრე ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად საჭირო ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯები (Blais et al. 2019). ინტერნეტის გამოყენებით ხმის მიცემა საკუთარი კომპიუტერიდან, თავის მხრივ, აქრობს არჩევნებში მონაწილეობის ბარიერს, რამდენადაც ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი დღისთვის საარჩევნო უბანთან გამგზავრების საჭიროება აღარ არსებობს.

ანალოგიურად, არჩევნებში მონაწილეობა და, შესაბამისად, ფუნდამენტური დემოკრატიული უფლების გამოყენება მნიშვნელოვნად ეზღუდებათ **საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს**. ხმის მისაცემად მათ უწევთ იმ ქალაქებში ჩასვლა, სადაც საქართველოს საელჩოები ან საკონსულოებია განთავსებული, რაც კარგად ხსნის შესამჩნევ სხვაობას ამომრჩევლის აქტივობას შორის საქართველოში (~56%) და ქვეყნის საზღვრებს გარეთ (~18%). საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეები ან ვერ ახერხებენ სამსახურში უქმე დღის აღებას საარჩევნო უბანზე მისასვლელად და ხმის მისაცემად, ან არ არიან იმდენად დაინტერესებული რომელიმე საკითხითა თუ პოლიტიკური პარტიით, რომ უღირდეთ ამხელა ძალისხმევის განწევა. შესაბამისად, ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დაწერგვას საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვნად გამარტივება შეუძლია.

ბოლოს, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **კორონავირუსის პანდემიამ არჩევანი კიდევ უფრო მეტად გადახარა ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის სასარგებლოდ**. ვირუსის გავრცელება ნამდვილად მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ამომრჩევლებისთვის, ხოლო ელექტრონულად ხმის მიცემა მკაცრი შეზღუდვების პირობებში, ე.წ. „ლოქდაუნის“ დროს, ან თუნდაც საავადმყოფოდანაც კი არის შესაძლებელი.

ეთნიკური უმცირესობებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა

ესტონეთის მაგალითმა გამოავლინა ერთი საინტერესო ტენდენცია, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იყოს საქართველოსთვის. კვლევები

აჩვენებს, რომ ტექნოლოგიების გამოყენება პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. ელექტრონული არჩევნები ამცირებს სოციალურ უთანასწორობას

და ამარტივებს პოლიტიკურ ჩართულობას, მათ შორის ისეთი ადამიანებისთვის, რომლებიც ნაკლებ რესურსებს ფლობენ (ნაკლებად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს), ან რომლებიც ტრადიციული მეთოდით ხმის მიცემასთან დაკავშირებული სირთულეების გამო არ იღებენ მონაწილეობას არჩევნებში (Vassil et al. 2016, 458). ასევე, კვლევები აჩვენებს, რომ ელექტრონული არჩევნების რამდენიმე ციკლის შემდეგ, ეთნიკურ და არაეთნიკურ ესტონელებს შორის ელექტრონული ხმის მიცემის თვალსაზრისით არსებული უთანასწორობა სრულად აღმოიფხვრა (იგივე, 456). ამგვარად, **ელექტრონული ხმის მიცემის სისტემა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყოს საქართველოში ეთნიკურ უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.** ელექტრონულ არჩევნებს, გარკვეულწილად, ასევე შეუძლია აზერბაიჯანული და სომხური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განთავსებული საარჩევნო უბნების გარშე-

ნდობის ნაკლებობა და მისი შედეგები

მიუხედავად ელექტრონული არჩევნების მრავალი უპირატესობისა, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლებთან გამკლავებაც მოუწევთ გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციას იმისთვის, რომ წარმატებით შეძლონ ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის ქართულ კონტექსტზე მორგება. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომლის გადაჭრაც აუცილებელია, არის **ნდობის ნაკლებობა არა მხოლოდ საარჩევნო სისტემის, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართაც.** ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვის მიმართულებით კიდევ ერთ დაბრკოლებას წარმოადგენს **ინტერნეტის შეღწევადობისა და ციფრული წიგნიერების ნაკლებობა ქვეყა-**

მო არსებული მუდმივი დაპირისპირების განეიტრალება.

გარდა ამისა, სახლიდან გაუსვლელად ელექტრონულად ხმის მიცემის შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში **საოკუპაციო ხაზს მიღმა მცხოვრები მოქალაქეებისთვის.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, ელექტრონული არჩევნების პირობებში, აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრებ ამომრჩევლებს ფუნდამენტური უფლების გამოსაყენებლად საოკუპაციო ზოლის გადმოკვეთა და თავის საფრთხის ქვეშ ჩაგდება არ მოუწევთ. ელექტრონული ხმის მიცემის პრაქტიკის დანერგვა ასევე დადებითად იმოქმედებს ქვეყანაში ელექტრონული სერვისების პოპულარობასა და მათ მიმართ ნდობის ზრდაზე. ამგვარად, სახელმწიფო სერვისების გაფართოების გზით, საოკუპაციო ხაზს მიღმა მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს სახლიდან გაუსვლელად მიეცემათ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ნაშპი. დოკუმენტის აღნიშნული ნაწილი დეტალურად განიხილავს ამ გამოწვევებს და დასკვნით ნაწილში წარადგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს მათ დასაძლევად.

კვლევები აჩვენებს, რომ ელექტრონული არჩევნების ხელშემწყობ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს სისტემის მიმართ ნდობა წარმოადგენს (Trechsel and Vassil 2011, ციტირებულია: Vassil et al. 2016). ფინეთის შემთხვევის შესწავლამ, სადაც არარეზიდენტ ამომრჩევლებს ფოსტით ხმის მიცემის შესაძლებლობა მიეცათ, აჩვენა, რომ აღნიშნული მეთოდის დანერგვას არანაირი გავლენა არ ჰქონია იმ ამომრჩევლებზე, რომლებიც მას ეჭვის თვალთ უყურებდნენ. თუმცა, საზღვარგარეთ მცხოვრებმა ამომ-

რჩევლებმა, რომლებიც საშუალო ხარისხით ენდობოდნენ აღნიშნულ მეთოდს, დაიწყეს ფოსტით ხმის მიცემა ისეთ შემთხვევებში, როდესაც უახლოესი საარჩევნო უბანი მათგან 100 კილომეტრზე უფრო დიდი მანძილით იყო დაშორებული. ხოლო რაც შეეხება მაღალი ნდობის მქონე ამომრჩევლებს, მათ დაიწყეს აღნიშნული მეთოდის გამოყენება ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც უახლოესი საარჩევნო უბანი მათგან მხოლოდ 10-30 კილომეტრის მანძილზე იყო განთავსებული (Nemčok and Peltoniemi 2021).

საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაბალი მაჩვენებლისა (ნდობის მაჩვენებელი ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ 2019 წელს 21%-ს შეადგენდა, პარლამენტის მიმართ – 15%-ს, ხოლო პოლიტიკური პარტიების მიმართ კი – მხოლოდ 8%-ს (Caucasus Barometer time-series dataset 2019)) და ოპოზიციური პარტიების მხრიდან ოფიციალური საარჩევნო შედეგების მიმართ მუდმივი პროტესტის გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნული გამოწვევა შესაძლოა ყველაზე უფრო რთულად გადასალახი აღმოჩნდეს ხელისუფლებისთვის. აღნიშნულ პრობლემასთან გამლავება შესაძლებელია გამჭირვალობითა და შესაბამისი კომუნიკაციის **სტრატეგიებით, რათა ფართო საზოგადოებას ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის მექანიზმების შესახებ რაც შეიძლება მეტად დეტალური ინფორმაცია მიენოდოს.** გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნდობა ნამდვილად მნიშვნელოვანი ფაქტორია პროცესის დასაწყისში, თუმცა, ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დაწერგვიდან რამდენიმე არჩევნების შემდეგ, ნდობის ფაქტორის მნიშვნელობა მცირდება (Vassil et al. 2016, 456).

ელექტრონული ხმის მიცემის მეთოდი, რომელსაც აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი აანალიზებს, აკადემიურ ლიტერატურაში ასევე ცნობილია „REV“-ის (დისტანციუ-

რი ელექტრონული ხმის მიცემა) სახელით. აღნიშნული მეთოდი ამომრჩეველს საშუალებას აძლევს, ხმა მისცეს სპეციალური ზედამხედველობის გარეშე მყოფი გარემოდან (ნებისმიერი ადგილიდან საარჩევნო უბანს გარეთ). ამგვარი მეთოდით არჩევნებში მონაწილეობა ამომრჩეველზე ზენოლის მაღალ რისკს შეიცავს, რამდენადაც ხმის მიცემა არაკონტროლირებადი გარემოდან ხდება (Gibson et al. 2016). თუმცა, არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რაც ამომრჩევლის თავისუფალ ნებას უზრუნველყოფს და მას გარე ზენოლისგან იცავს. ასეთ მექანიზმებს წარმოადგენს ელექტრონულად დაფიქსირებული ხმის შეცვლის შესაძლებლობა არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს და საარჩევნო უბანზე ბიულეტენით ხმის მიცემის საშუალება, რაც მანამდე ელექტრონულად დაფიქსირებულ ხმას ავტომატურად აბათილებს. დამატებითი მექანიზმები, როგორცაა, ერთი მხრივ, ელექტრონულად დაფიქსირებული ხმებისა და პერსონალური მონაცემების ერთმანეთისგან გამიჯვნა, ხოლო მეორე მხრივ, იმის შემოწმების შესაძლებლობა, ნამდვილად სწორად დარეგისტრირდა თუ არა ამომრჩევლის ხმა სერვერზე, სისტემის მიმართ ნდობის გაზრდას უწყობს ხელს.

თუმცა, აღნიშნულ სისტემაში კონფიდენციალურობის დაცვა მაინც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნდობის ხარისხზე იმ მოწყობილობის მიმართ, რომლის საშუალებითაც ხდება ხმის მიცემა (იგივე). ხმის ელექტრონულად მისაცემად გამოყენებული მოწყობილობისა თუ ინტერნეტ კავშირის უსაფრთხოების უზრუნველყოფა კვლავ რჩება იმ პრობლემებს შორის, რაც ელექტრონულ არჩევნებს ახლავს თან. ყოველივე ეს, თავის მხრივ, დაკავშირებულია ციფრული წიგნიერებისა და ინტერნეტთან წვდომის პრობლემებთან, რაც ამ მიმართულებით დამატებით გამოწვევას წარმოადგენს.

ციფრული წიგნიერება და ინტერნეტთან წვდომა, როგორც მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლის გადალახვაც საქართველოს მთავრობას მოუწევს, არის ციფრული წიგნიერებისა და ინტერნეტთან წვდომის მზარდი პრობლემა. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) 2020 წლის ანგარიშის თანახმად, 2018 წელს საქართველოში ინტერნეტთან წვდომის მაჩვენებელი 63% იყო, რაც უკრაინის შედეგთან ერთად, აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია (IDFI "internet usage and accessibility..." 2020). იმავე კვლევის მიხედვით, ინტერნეტის შელწევადობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია თბილისსა (125%) და აჭარის რეგიონში (124%), თუმცა იგივე მაჩვენებელი სხვა რეგიონებში კვლავ საკმაოდ დაბალ ნიშნულზე რჩება. ინტერნეტის შელწევადობა გურიაში 33%-ს შეადგენს, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 15%-ზე ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს მეტი წვდომა აქვთ ინტერნეტზე – ინტერნეტ შელწევადობის მაჩვენებელი ქვემო ქართლში 76%-ს, სამცხე-ჯავახეთში კი 59%-ს შეადგენს. შედარებისთვის, იგივე მაჩვენებელი სამეგრელო-ზემო სვანეთისთვის 41%-ია, შიდა ქართლისთვის კი – 51%. ანალოგიურად, კომპიუტერს ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 62% ფლობს, რომლის 74% ქალაქის მოსახლეობაზე მოდის (იგივე, 5). ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ანგარიში ასევე შეიცავს საქსტატის 2019 წლის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოსახლეობის 46%-ს არ გააჩნია კომპიუტერის გამოსაყენებლად საჭირო საბაზისო ცოდნა

(იგივე, 6).

ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები ხაზს უსვამს იმ გამოწვევას, რომელთან გამკლავებაც აუცილებელია ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის უპირატესობების სრულად ასათვისებლად. ესტონეთის მაგალითის შესწავლა აჩვენებს, რომ ელექტრონული ხმის მიცემის შესაძლო უპირატესობა – სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების არჩევნებში ჩართულობის მნიშვნელოვანი ზრდა – სულ მცირე სამი ელექტრონული არჩევნების შემდეგ ვლინდება (Vასსილ ეტ ალ. 2016, 459). თუმცა, იგივე ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ ელექტრონული ხმის მიცემის სისტემა ესტონეთში 2005 წელს დაინერგა და მას შემდეგ ინტერნეტ შელწევადობისა და სოციალური მედიისა და ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხი იმდენად მკვეთრად გაიზარდა, რომ ელექტრონული ხმის მიცემის ფართოდ გამოყენების დანერგვას შესაძლოა სამ არჩევნებზე ბევრად უფრო ნაკლები დრო დასჭირდეს (იგივე).

ბოლოს, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს **სკეპტიციზმი ახალი ID ბარათებისა და მათი გამოყენების მიმართ** (Netgazeti 2013). აუცილებელია სპეციალური კამპანიებისა და პროგრამების შემუშავება მოსახლეობის აღნიშნული სექტორისთვის ახალი ID ბარათების ფუნქციონირების მექანიზმის უკეთ ასახსნელად და მათი შიშების გასაქარწყლებლად.

დასკვნა და რეკომენდაციები

უკვე რამდენიმე წელია, რაც ქართული პოლიტიკური გარემო არჩევნების შედეგების მიმართ მუდმივი უნდობლობითა და მასთან დაკავშირებული გამოწვევებით ხასიათდება. ამ კუთხით არც ბოლო საპარლამენტო არჩევნები იყო გამონაკლისი. ადამიანური ფაქტორის ჩამოშორებამ საარჩევნო პროცესისგან და მოქალაქეებისთვის არჩევნებში ელექტრონულად, პირადი კომპიუტერიდან მონაწილეობის შესაძლებლობის მიცემამ, ისევე, როგორც საარჩევნო სერვერზე ხმის სწორად ასახვის შემონმების შესაძლებლობამ, შესაძლოა დადებითად იმოქმედოს საარჩევნო შედეგების მიმართ ნდობის ხარისხზე. გარდა ამისა, ელექტრონული ხმის მიცემის სისტემა ხელს უწყობს არარეზიდენტი ამომრჩევლების მონაწილეობას არჩევნებში, მათ შორის ეს ეხება საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეებსა და ოფიციალური რეგისტრაციის ადგილიდან შორს მცხოვრებ ამომრჩევლებს. გარდა ამისა, ელექტრონულ არჩევნებს მნიშვნელოვნად შეუძლია საარჩევნო პროცესის გამარტივება საოკუპაციო ხაზს მიღმა მცხოვრები ქართველებისთვის. აღნიშნულ ცვლილებას ასევე შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ზოგადად ელექტრონული სერვისების მიმართ ნდობის გაზრდა და რე-

ლიგიურ კონსერვატიულ ჯგუფებს შორის ახალი ID ბარათების მიმართ უნდობლობის შემცირება, რაც დადებით გვერდით ეფექტს წარმოადგენს.

თუმცა, ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვა მაინც არის დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევასა და დაბრკოლებასთან. აღნიშნული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული უპირატესობების სრულად გამოსაყენებლად, საჭიროა ამ გამოწვევებთან დროულად გამკლავება. პირველ რიგში, აუცილებელია ელექტრონული საარჩევნო სისტემისა და ID ბარათის პირად კომპიუტერთან დაკავშირების პროცესის მიმართ ნდობის მაღალი მაჩვენებელი. გარდა ამისა, საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან დაბალია რურალურ დასახლებებში ინტერნეტის შეღწევადობა. შესაბამისად, ამ პრობლემის მოსაგვარებლად, საჭიროა, რომ მთავრობამ მეტი ინვესტიცია ჩადოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი საქართველოში ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვის ხელშესაწყობად კონკრეტულ რეკომენდაციებს წარადგენს.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის:

- დაიწყო კვლევების ჩატარება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად არის მზად ელექტრონული ინფრასტრუქტურა და პროგრამული უზრუნველყოფა ელექტრონული საარჩევნო სისტემის დასანერგად.
- წამოიწყო სპეციალური კამპანიები ძველი პირადობის მონაწილეობის ახლით ჩანაცვლების პროცესის დასაჩქარებლად. გარდა ამისა, ჩაატარონ საინფორმაციო კამპანიები, რომელიც მოსახლეობის კონსერვატიულ ჯგუფებში ახალი ID ბარათების მიმართ უნდობლობის შემცირებისკენ იქნება მიმართული.
- ხელი შეუწყონ ციფრული წიგნიერების განვითარებას – კერძოდ, თუ როგორ ხდება ID ბარათის წამკითხველისა და პინ კოდების გამოყენება, რა არის ელექტრონული ხელმოწერა და

როგორ გამოიყენება ის. გარდა ამისა, მედიის დახმარებით საზოგადოებაში გაავრცელონ ელექტრონული ხმის მიცემის თემატიკაზე შექმნილი ვიდეო ინსტრუქციები და რეკლამები.

- მთავრობამ მეტი ინვესტიცია უნდა ჩადოს რეგიონებში ელექტრონული ინფრასტრუქტურის განვითარებაში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაზარდოს ინტერნეტის შეღწევა-დობის ხარისხი რურალურ დასახ-

ლებებში.

- მჭიდროდ ითანამშრომლონ პოლიტიკურ პარტიებთან საზოგადოების ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის უპირატესობებისა და უსაფრთხოების შესახებ მათთვის ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით. ასევე, აუხსნან ამომრჩევებს, თუ როგორ ხდება მათ მიერ ელექტრონულად დაფიქსირებული ხმებისა და მათი ანონიმურობის დაცვა.

რეკომენდაციები საერთაშორისო საზოგადოებისა და ელექტრონული ხმის მიცემის გამოცდილების მქონე სახელმწიფოებისთვის:

- დახმარება გაუწიონ საქართველოს უცხოელი ექსპერტების ჩამოყვანისა და საარჩევნო პროცესში ესტონეთის ჩართვის გზით, დაგროვილი ცოდნისა და უნარების გასაზიარებლად.
- მჭიდროდ ითანამშრომლონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა (ცესკო) და არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელ სხვა ინსტიტუტებთან, რათა დარწმუნდნენ, რომ ელექტრონული არჩევნების-

ვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა კარგად მუშაობს და დაცულია შესაძლო კიბერ თავდასხმებისგან.

- ორგანიზება გაუწიონ სპეციალურ პრაქტიკულ სწავლებებსა და სამუშაო შეხვედრებს მესამე სექტორის ინფორმირების მიზნით, შესაძლო ხარვეზებისა და პროცესში ჩართული მხარეების მხრიდან სისტემის არაკეთილსინდისიერად გამოყენების სავარაუდო ფაქტების გადამოწმების შესახებ.

რეკომენდაციები საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მედიისთვის:

- აქტიურად ითანამშრომლონ საქართველოს მთავრობასთან საინფორმაციო კამპანიებისა და ელექტრონული არჩევნების პოპულარიზაციის მიმართულებით.
- ყურადღებით დააკვირდნენ პროცესს და დარწმუნდნენ, რომ ელექტრონული ხმის მიცემის პროცესი ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ზენოლის გარეშე მიმდინარეობს. განსაკუთრებით უშუალ-

ოდ ხმის მიცემის დღეს, როდესაც საარჩევნო ბიულეტენით მიცემული ხმებით შესაძლებელია ელექტრონულად დაფიქსირებული ხმების გაბათილება და ასევე, ელექტრონული ხმების დათვლის პროცესში.

- მეტი იმუშაონ ეთნიკურ უმცირესობებთან იმისთვის, რომ უზრუნველყონ მათთვის ელექტრონული ხმის მიცემის სისტემასთან ნვდომა და საარჩევნო პროცესში მათი ჩართულობის გაზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Blais, André, Jean-François Daoust, Ruth Dassonneville, and Gabrielle Péloquin-Skulski. 2019. "What is the cost of voting?" *Electoral Studies* 59.: 145-157.
2. *Caucasus Barometer time-series dataset Georgia*. 2019. Caucasus Research Recourse Center. Available at <https://caucasusbarometer.org/en/cb-ge/codebook/> Last visited 05. May. 2021
3. CESKO. "Elections 2020". 2020. CESKO. Available at <https://cesko.ge/res/docs/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%982020.pdf> Last visited 05. May. 2021
4. E-Estonia. N.d. e-estonia.com. Available at <https://e-estonia.com/> Last visited 05. May. 2021
5. Gibson, J. Paul, Robert Krimmer, Vanessa Teague, and Julia Pomares. 2016. "A review of e-voting: the past, present and future." *Annals of Telecommunications* 71, no. 7.: 279-286.
6. IDFI. "Internet Usage and Accessibility Tendencies in Georgia". 2020. Institute for Development of Freedom of Information. Available at https://idfi.ge/en/internet_access_and_use_in_georgia Last visit 05. May. 2021
7. IPN. „თეა ნულუკიანი - საქართველო ელექტრონული არჩევნების ჩასატარებლად ტექნიკურად მზად არის“. November 09. 2015. Interpressnews. Available at <https://www.interpressnews.ge/ka/article/353383-tea-culukiani-sakartvelo-elektronuli-archevnebis-chasatareblad-teknikurad-mzad-aris/> Last visited 05. May. 2021
8. Khatchapuridze, Elene. November 10. 2016. „ნულუკიანი: არჩევნების ელექტრონულად ჩასატარებლად საქართველო მზადაა“. *Netgazeti*. Available at https://www.lexilogos.com/keyboard/georgian_conversion.htm Last visited 05. May. 2021
9. Kirk, Jeremy. 2008. *Estonia, Poland Help Georgia Fight Cyber Attacks*. CSO. Available at <https://www.csoonline.com/article/2123074/estonia--poland-help-georgia-fight-cyber-attacks.html> Last visited 05. May. 2021
10. Nemčok, Miroslav, and Johanna Peltoniemi. 2021. "Distance and Trust: An Examination of the Two Opposing Factors Impacting Adoption of Postal Voting Among Citizens Living Abroad." *Political Behavior*.: 1-25.
11. *Netgazeti*. „აქცია ID ბარათის ალტერნატივის მოთხოვნით“. September 29. 2013. *Netgazeti*. Available at <https://netgazeti.ge/news/25800/> Last visited 05. May. 2021
12. Radio Free Europe. "Georgia: Former Estonian Premier Says 'Forget' Russia." February 02. 2007. Radio Free Europe/Radio Liberty. Available at <https://www.rferl.org/a/1074468.html> Last visited 05. May. 2021
13. Valimised. "Questions about i-voting". N.d. Valimised. Available at <https://www.valimised.ee/en/internet-voting/frequently-asked-questions/questions-about-i-voting> Last visited 05. May. 2021
14. - "Questions about the reliability of i-voting". N.d.b. Valimised. Available at <https://www.valimised.ee/en/internet-voting/frequently-asked-questions/questions-about-reliability-i-voting> Last visited 05. May. 2021
15. - "Statistics about Internet voting in Estonia". N.d.c Available at <https://www.valimised.ee/en/archive/statistics-about-internet-voting-estonia> Last visited 05. May. 2021
16. Vassil, Kristjan, Mihkel Solvak, Priit Vinkel, Alexander H. Trechsel, and R. Michael Alvarez. 2016. "The diffusion of internet voting. Usage patterns of internet voting in Estonia between 2005 and 2015." *Government Information Quarterly* 33, no. 3.: 453-459.
17. 5th Annual Democracy Conference (#GEODEM). 2020. *Elections in the times of the COVID-19 pandemic: A new challenge for Georgia's uncertain democracy?* Conference Notes N1, Georgian Institute of Politics (GIP), June-July, 2020. Available at http://gip.ge/wp-content/uploads/2020/09/GEODEM2020-Conference-notes_compressed.pdf Last visit 05. May. 2021



ISBN 978-9941-480-90-4



9 789941 480904